645/2
985
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
11
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად



ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო

## საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, წარმატებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სოციალისტური ვალდებულებანი. მათ მოკრიფეს და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 580 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

(საქინფორმი)

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68-ე წლისთავი



„კაცობრიობის მომავლისაკენ"

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის
ზურაბ ლეჟავას ნამუშევარი



ცისანა კორკოტაძე

ზრუნავს. — ასე სწამდა თავმჯდომარეს. ამიტომ ხალხიც მასთან იყო, ამიტომ იზრდებოდა ყოველწლიურად ივანდიდელთა შრომითი წარმატებები, რაც ნათლად იყო გამოხატული კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის მატებაში.

თუ ამ რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 609 ათასი მანეთი იყო, შარშან 1.327 ათას მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის, პირუტყვის ხულადობის ზრდისა და ნამატის მიეძინა. ოჯახის საქმეს რომ მიხედავდა, კოლმეურნეობის ფართობებს შემოუვლიდა, მერე კანტორაში მივიდოდა, წინადღის შრომის შედეგებს გადახედავდა, დავალებას გაანაწილებდა, ახალ საკითხებს ოპერატიულად გადაწყვეტდა, მერე სკოლის საქმეში ჩაიხედავდა, მოსწავლეთა მცირე კოლმეურნეობის („მინი" კოლმეურნეობის) თავმჯდომარეს მოუსმენდა, სოფლის ხარაჩოებს ეწვეოდა და, თუ რამ დაბრკოლება იყო, მოაგვარებდა. ჯაჭვის რგოლებივით გადაებმებოდა ხაქმე საქმეს.

სულ ახლახან ცისანა კორკოტაძე პარტიის

# ასე მოვიდა აღიარება

მაღალ, მოხდენილ გოგონას მხრებზე ნაწნავები ეყარა. ცნობისმოყვარე თვალები და სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა. ალბათ, ამ ცნობისმოყვარეობისგან იყო, რომ მედალოსნის ატესტატი აილო და ფოსტალიონის დიდი ჩანთა გადაიკიდა.

ეს კინოფილმის შინაარსი არ გახლავთ. ეს თავფურცელია ერთი მშრომელი ქალის ბიოგრაფიისა, რომელიც დღესაც სახელოვნად აგრძელებს თავის ცხოვრებას. მან შემდეგ მეღორეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა, ჩაისაც კრეფდა, უმაღლესიც დაამთავრა და კომკავშირის საკავშირო ყრილობის დელეგატადაც აირჩიეს, საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ფესტივალშიც მონაწილეობდა, რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის ჯილდო დაიმსახურა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატიც გახდა...

ცისანა კორკოტაძეს შრომამ, ქვეყნისა და ხალხის ერთგულებამ აღიარება მოუტანა. გაივლის წლები, მოვლენ ახალი თაობები, გადაშლიან კომკავშირის ცხოვრების გმირულ ისტორიას და კომკავშირის 50-ე წლისთავის იუბილის დღეებში ცისანა კორკოტაძისა და მისი ახალგაზრდული რგოლის შესახებ ჩაწერილ სტრიქონებსაც ამოიკითხავენ.

კაცებს ტოლს არ უდებს. ფეხითა აქვს მოვლილი წითელვარსკვლავისა და ივანდიდის სიმინდის ყანები, ბოსტანი, ფერმა და საძოვარი, ჩაის პლანტაცია თუ ხეხილის ბაღი. ყანაში ხელმრუდეც დაუჭერია, შეურცხვენია, მრუდე გზიდან სწორ გზაზე გაუყვანია, ენგურჰესის დაზიანებული ხაზის აღდგენაზე ვაჟკაცების გვერდით წალდითა და ნაჯახით უმუშავია...

შრომაში ოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა. ცისანა ივანდიდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, თანაც ისეთი, რომელსაც ყველა ოჯახში ელოდნენ, რომელიც ყველას ყველაფერში ეხმარებოდა.

კოლმეურნეობა მარტო პროდუქციის შემქმნელი როდია, ხალხისთვის, მისი ბედნიერებისთვის, ეკონომიკის სიძლიერისთვის ღების გეგმები. ეს კი იმის გარანტიაა, რომ წლეულს კიდევ უკეთესი მაჩვენებლები ექნებათ.

განსაკუთრებით დიდია კოლმეურნეობაში ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა. მან აგროწესით დადგენილ ყოველგვარ გეგმას გადააჭარბა. და ეს შემთხვევითი როდია. ცისანას დისერტაციის თემა სწორედ ჩაის მოსავლიანობის გადიდებას ეხებოდა. ეს უბრალოდ ხარისხის ძიებისათვის დაწერილი ნაშრომი არ იყო. ჩაის კულტურის მოტრფიალე ადამიანის ფიქრი და ძიება, მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის ზრუნვა გახლდათ.

კოლმეურნეობის მთავარ სიმდიდრედ ცისანას ადამიანები მიაჩნდა. ამიტომ დაუსრულებლად საუბრობდა მათზე, ემაყებოდა მათი სასახელო საქმეები. საპატიო ნიშნის ორდენოსანი ბრიგადირი გივი ტაბიძე, ლენინის ორდენოსანი მეჩაიე ნანატრი კოპალიანი, მეაბრეშუმე დოდო მაჭარაძე, მებოსტნე ეთერ ლიპარტელიანი, მეცხოველე ჯამბულ ლიპარტელიანი, გივი ქუთათელაძე, ია ჩიქოვანი და მრავალი სხვანი დღესაც დაუღალავი შრომით ზრდიან მშობლიური კოლმეურნეობის შემოსავალს.

ცისანას სამუშაო დღე ძალიან ადრე იწყებოდა, მაშინ, როცა სოფელს ჯერ კიდევ წულუკიძის რაიკომში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. საზრუნავი, რა თქმა უნდა, ბევრად გაიზარდა, ახლა მთელი რაიონის სოფლის მეურნეობის ბედი აბარია. წინ დიდი ამოცანებია, რომელთა შესრულებას ჩვეული მონდომებით შეუდგა.

შინ კი კვლავ გვიან ბრუნდება. დედა და ორი ქალიშვილი მის მოლოდინში არიან. დედამ 48 წელი ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარა. 1941 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა და ზურგის მოწინავე მებრძოლი გახდა, შვილი ობლობაში გაზარდა და ქვეყნისა და ხალხის წინაშე დიდი მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგა.

ცისანას მეუღლე რამაზ სალარიეშვილი პატიოსანი მშრომელი კაცი იყო. მისი შრომითი ბიოგრაფია ჩაის ფაბრიკაში მტვირთაობით დაიწყო. მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ბოლო დროს წულუკიძის სოფლის მეურნეობის სამმართველოში მუშაობდა, მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა. ქალიშვილებს — თამარს და სოფიოს მამის ხელი მოაკლდათ, მაგრამ დედა ყოველნაირად ცდილობს მამის მაგივრობა გაუწიოს.

მედეა ოგბაიძე



ჩაის პლანტაციაში

# თბილისისა და თბილისელებისათვის

# მზე მარცვალში

ნარკვევი



ჟენია დოლმაზოვი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

Ოცდათორმეტი წლისაა ვაზი სამგორის ველზე. ეს ასაკი მისთვის შუახნობაა. ორმოცდაათ-სამოც წელს ცოცხლობს იგი საერთოდ. აქ კი გაუჭირდა. ორმოცდაათიან წლებში ნახევრადუდაბნო მხარეში რომ სამგორის სარწყავი არხი გაიჭრა, საბჭოთა მეურნეობაც მერე ჩამოყალიბდა. მანამდე კი მარტყოფელების და ნორიოელების საქონელი სძოვდა მლაშე მიწაზე თავამოყოფილ ბალახს. შუადღის მზე რომ არემარეს წვას დაუწყებდა და ბალახიც აღარ იჭმევოდა სიმხურვალისგან, ცხვარი და საქონელი ლოჭინის ხეობაში ჩაიფერდებდა, უწყლობისგან ძლივს მოლასლასე მდინარის ახლოს... ასე მიდიოდა წლები და მინდვრები მინდვრებად რჩებოდა, საცხოვრებლად აქეთკენ არავინ იხედებოდა და მხოლოდ ქარი მოდიოდა ყოველდღე სირბილით და დაუკითხავად.

თითქოს გაბოროტდა კაცი — ადამიანი, ბუნების ძალამ როგორ უნდა დამჯაბნოსო, წყალი მიუშვა უდაბურ ველზე, ამოძირკა, დაამუშავა, ვაზი გააშენა, პირით მზისკენ გაახედა, ზურგში ქარი დაუყენა და სასუფრე ჯიში „განჯური" ხარისთვალებივით აბრიალდა ლერწებზე. მზე მთელი მხურვალებით დააცქერდა მარცვლებს, უყურა, უყურა და თავისი ფერი გადასდო. წითელყვითლად დაიბრაწა მარცვლები, დაიბერა, გასკდომისაგან ძლივს შეიკავა თავი და ხელიდან ხელში გადასულმა სიტკბოთი სავსე მტევანმა სუფრაც დაამშვენა.

ნორიოელები პირველები ამოვიდნენ მარტყოფელებთან ერთად. 1500-მეტრამდე სამოსახლო და შიგ ჩადგმული სამოთახიანი ფინური სახლები ცდუნება იყო მათთვის. კარი შეაღეს, შუქი აანთეს და ერთი ღამე გაათენეს... დილამ მშვიდობა უთხრა მათ პირველსახლობას და, ამ მეკვლეებს მოჰყვნენ და მოჰყვნენ ურმიანები, ცხენიანები, ბოხჩააკრულები თუშეთიდან, დუშეთიდან, ხევსურეთიდან, თეთრწყაროდან, მანგლისიდან, ნახშირგორიდან.

ნახშირგორის ბილიკებზე არ უვლია სამგორელ ჟენიას, არც მეზობელი სოფლის მსხალდიდის ქართულ სკოლაში უსწავლია ანბანი, არც ძველი საუკუნის ქართული ეკ-

საქ. სსრ კ. მარქსის

ლესიის ეზოში უთამაშია დამალობანა. ამას ყველაფერს მისი მშობლები აკეთებდნენ, იქაურნი, იქ გაზრდილ-დაბადებულნი. ჟენიამ იცის, რომ ნახშირგორიდან დედა შვეული ბილიკებით რამდენიმე წუთში თბილისში ჩამოვიდოდა ხოლმე თიხის სქელი ქილებითა და კამეჩის მაწვნით. თუ დარი ადროვებდა, ხომ ადიოდა ხვნეშა-ხვნეშით ქალაქიდან წაძღვანიებული პურითა და ნავთით, თუ არა და ზელდა წვიმისაგან თიხადქცეულ გზას და რეზინის კალოშები ზოლებს ტოვებდა გასახმობად თუ თვალის საცქერლად. ძნელი იყო ცხოვრება ნახშირგორაზე, მაგრამ მეტი იყო ბუნებასთან სიახლოვე. ეძნელებოდათ იმ მიწის დატოვება, სადაც ერთ დროს მტრისაგან შეულახავ და გადაუმწვარ მიწაზე კაცის ქუდს ვერ დაითვლიდი და ქალის ლეჩაქს, ისე იყო იქაურობა ხალხით სავსე. და რომ ეძნელებოდათ, ძალიან დაუჩემეს, დატოვეს ზამთრის დიდთოვლობა და დაბლა, სამგორში ჩამოვიდნენ.

ჟენია სამგორელია, აქ დაიბადა, აქ ისწავლა ვაზის მოვლა. უყვარს სამგორი, ქარიანი, ლოჭინის ხეობიანი, სარწყავი არხიანი, ოთხას ჰექტარ ვაზის ფართობის შუაში გულივით ჩადგმული სახლობა — საუწყებო, ფინური, თუ საკუთარი გეგმით აშენებული სახლები, სკოლა, სადაც ისეთი კარგი მასწავლებლები ჰყავდა, რომ უნივერსიტეტში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე წარმატებით ისწავლა, აბანო, მაღაზია, პურის საცხობი, კლუბი, ამბულატორია, ავტობუსების ოცწუთიანი მისვლა-მოსვლა მეტრო „სამგორამდე“ და უცბად თბილისში ჩამოსვლა. ფართო საავტომობილო გზით რამდენიმე წუთში ადის ვეძისიდან მაღლა, ნახშირგორაზე, სადაც სიცხეშიც ცივა, საამო ჰაერია და თბილისის დაწესებულების კოლექტიური ამხანაგობა ბინებს იშენებს. მოსწონს იქაურობა, ზოგჯერ დაბრუნებაზეც ფიქრობს და სურს წარმოიდგინოს, როგორ იცხოვრებდა უსამგოროდ.

მაშინ ვერც გარდაბნის რაისაბჭოს დეპუტატი იქნებოდა, ვერც პარტიის წევრი, ვერც მეურნეობის პროფკომის თავმჯდომარე და ვერც კომკავშირული რგოლის მერგოლური, ვერც ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელობას მიანდობდნენ ამ რამდენიმე თვის წინ.

მის ბრიგადაში მეტწილად ახალგაზრდები არიან, კომკავშირელები. ჟენიას სიტყვას ენდობიან, მისი ჭკუა და საქმე მოსწონთ და მასავით ბეჯითად უვლიან ვაზს.

მძიმე დღეები გადაიტანეს ივნისში, ოთხმოც პროცენტამდე დააზიანა სეტყვამ გაფურჩქნილი ვენახების უმეტესობა. გულდაწყვეტილი გოგონები დიანა მამადაშვილი, ნანა მაღრაძე და სხვები ერთმანეთს სამძიმარს ეუბნებოდნენ. შაბიამნის ხსნარით დაიწყეს დასეტყვილი ვაზის მკურნალობა, არცერთი დღე არ გამოუტოვებიათ, არცერთი ძირი ნარგავი არ გამორჩენიათ. უფრო ფრთხილად გაფურჩქნეს გული, უფრო ნაზად აახვიეს მავთულზე. მომავალი წლიდან უფრო უკეთ გაირჯებიან, სამ ბრიგადულ რგოლსა და ორ ოჯახურ ბრიგადას რომ ჩამოაყალიბებენ. ოჯახურ ბრიგადებზე სამ-სამი ჰექტარი ვენახი გაპიროვნდება, ბრიგადულ რგოლს ხუთ-ხუთი ჰექტარი მიეცემა და მას ოთხი მუშა და ერთი ტრაქტორისტი მოუვლიან.

ჟენიას ვენახში შესვლა ისე უხარია, თითქოს მეგობრებთან მიდიოდეს. ვაზი მისთვის სულიერია, ისიც სუნთქავს, იკვებება, იზრდება... და როცა რთველია გაჩაღებული, როცა გოგონები ჰკრეფენ ვარდისფერმარცვლებიან მტევნებს და იძახიან: „უჰ, კიდევ რამდენია საკრეფიო“, — „ნეტა რა გეჩქარებათ, სულ ვკრიფოთ, ის არ სჯობსო“, — უპასუხებს ხოლმე ჟენია.

რთველობაზე შაბიამნის ხსნარით გარეცხილი სუფთა ყუთები დამკრახული, შაქრად ქცეული მტევნებით ივსება. აქაური „განჯური“, საუკეთესო სასუფრე სადესერტო და, ამასთანავე, ცნობილი სამკურნალო ყურძენია და ორგანიზმისთვის აუცილებელ საჭირო ნივთიერებებს შეიცავს. ახლა განსაკუთრებით მიექცევა ყურადღება სასუფრე ჯიშებს, რადგან ფართოდ გაიშალა ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. ოთხასი ტონის ტევადობის მაცივარი, რომელიც იშვიათია რესპუბლიკაში, სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას სრულ წესრიგში აქვს. აქ შემოდგომაზე „განჯურსა“ და „რქაწითელს“ აბინავებენ და ზამთრის ბოლომდე აწვდიან ხოლმე თბილისელ და რუსთაველ მშრომელებს გემრიელ ნობათს.

მხოლოდ ადამიანის ხელი, გოგონების, ამ კეთილი ფერიების მსუბუქი, ხოლო გამოცდილი მევენახეების უხეში, მაგრამ მზრუნველი ხელი აცოცხლებს და ახარებს ვაზს, უმსუბუქებს იმ დიდ გაჭირვებას, რასაც გაჯიანი ნიადაგი და გაუთავებელი ქარი აყენებს. ნიადაგის თავისებურების გამო,ა რომ წყალი ვერ ჩადის ფესვებში, ქარი კი მიწას აცლის და ძირს უტიტვლებს ვაზს, მაგრამ ისევ ადამიანი, თავისი თავგადაკლული ყურადღებით და მისთვის მოცალეობით წყალსაც ასმევს და საკვებსაც აძლევს. ადამიანია სამგორში ვაზის გადამრჩენი. მანვე იცის, სად ამოძირკოს ძველი და სად ჩაყაროს ახალი. მასვე, სანამ ახალს ჩაყრის, ერთწლიანი ბალახები და უხეში საკვები მოჰყავს ამოძირკულ ფართობზე, რომ მეცხოველეობამ იღონიეროს, წლის ბოლომდე ფერმის ძროხებს თავსაყრელი ჰქონდეთ საკვები. და მართლაც, საკვები მათთვის საკმარისზე მეტია, საკვებისგან განთავისუფლებულ მიწაზე კი ვაზის ახალი ნერგები ირგვება. მომავალში, ზოგან, ვენახების ძველ ფართობებზე თანდათანობით ხეხილის ბაღები გაშენდება, „განჯურისა“ და „რქაწითელის“ გვერდით კურკოვანები აშრიალდება.

ლია ქაქაბაძე



დიანა მამადაშვილი



ნანა მაღრაძე



ლალი თაქთაქიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთიანეთში



# მთელ სოფელს სწვდება

ზუგდიდიდან მესტიამდე ახლად გაყვანილი 140 კილომეტრიანი სამანქანო გზის უნახაობა არ იქნება, მითუმეტეს, თუ ამ მხარეში პირველად ხარ. არ ღირს ვერტმფრენში ჩაჯდე და 45 წუთიანი ფრენით მოიკლო ის დიდი სიამოვნება, რაც ეგზოტიკურმა სანახაობამ უნდა მოგანიჭოს.

ოდითგანვე უგზოობით განაწამებ მესტიელებს და მის მეზობელ რაიონებს ამ გზამ დიდი ბედნიერება მოუტანა, თვეობით ერთმანეთს მოწყვეტილი მთა და ბარი მუდმივად დაკავშირდა.

გზა ენგურის ნაპირს გასდევს.

უფსკრულში რძესავით აქაფებული თავნება ენგური ავობს და კალაპოტიდან გადმოვარდნას ლამობს.

ენგური ხაიშამდე დატბორებულია, საგანგებოდ შეუბორკავთ და ისე ჩაუყენებიათ ბუმბერაზი „ენგურჰესის“ სამსახურში, მხოლოდ ხაიშიდან სათავემდე თავისი ბუნებრივი სახე შემორჩენია.

გზა სულ მაღლა-მაღლა მიიწევს და ვეებერთელა თვალუწვდენელ მთებს სერავს. მესტიიდან უშგულამდეც გაგრძელდა ახლახან ასეთივე მოასფალტებული გზა. სოფელი უშგული მთელს ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლებაა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2 ათას ორას ორმოცდაათ მეტრს აღწევს. ამ საოცარი სილამაზისა და თავისებური კოლორიტის გამო ზამთარ-ზაფხულ უამრავი ტურისტი უწყვეტ ნაკადად მოედინება აქეთკენ. მდიდარმა ისტორიულმა წარსულმა, ალპურმა ზონამ, რელიეფის თავისებურებამ და ბუნებრივმა პირობებმა საფუძველი შეუქმნა დღევანდელი მესტიის რაიონის კეთილმოწყობას.

სვანეთს თითქოს მუდმივ დარაჯად უდგანან თავს წამომდგარი მწვერვალები: თეთნულდი, უშბა, შხარა, შხელდა, აილამა, რუსთაველი. შხარადან იღებს სათავეს დაუდეგარი ენგურიც. სოფლებში აღმართული სვანური კოშკების (ისინი დღეისათვის 500-მდეა აღნუსხული) უმრავლესობა XII საუკუნეს მიეკუთვნება, ზოგიერთი სამლოცველო ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათწლეულითაც თარიღდება, მათ შემოგვინახეს უნიკალური ხატები, ხელნაწერები, კედლის მოხატულობა; შუა საუკუნეების საკულტო, საერო ძეგლები, მათზე მიდგმული მაჩუბები, სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობა და ციხე-დარბაზი დღეს ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის საკუთრება გახდა.

მესტიის მთა-გორიანი რელიეფი და მკაცრი ჰავა ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიურ განვითარებას. ამიტომაც მცირე ფართობი უჭირავს მიწათმოქმედებას, შედარებით განვითარებული დარგია სახორცე-სარძევე მიმართულების მეცხოველეობა, რომლის საკვები ბაზა ბუნებრივი სათიბ-საძოვრებია. სახნავად მიწის ერთ პროცენტსაც ვერ იყენებენ. მცირე რაოდენობით თესავენ მარცვლეულ კულტურებს და კარტოფილს. მესტიის რაიონში თოთხმეტი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაა: ბეჩოს, ეცერის, იფარის, კალის, ლატალის, ლახამულის, ლენჯერის, მულახის, ნაკანის, უშგულის, ფარის, ცხუმარის, ჭუბერის და ხაიშისა. ორ მეურნეობას სათავეში ქალები უდგანან — ბეჩოსას — ცირა კვიციანი, ლენჯერისას — ეთერ მჭედლიანი.

პარტიის რაიონული ხელმძღვანელობა, კერძოდ რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი მურად უშხვანი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ელდარ ხვისტანი პასუხსაგებ პოსტებზე თამამად აწინაურებენ ქალებს. ჩვენ ერთ-ერთ მათგანს ეთერ მჭედლიანს გაგაცნობთ.

* * *

ვეებერთელა ზვინებს შორის ძლივს მოჩანს მზისგან გარუჯული, საშუალო სიმაღლის ქალი. ოთხი შვილის დედაა ეთერი. სიამაყით უნდა ითქვას, რომ სვანეთში მრავალშვილიანობა პრობლემად არ ითვლება — იშვიათად შეხვდებით ოჯახს, სამ-ოთხ შვილზე ნაკლები რომ ჰყავდეს. ეთერს სამაგალითო ოჯახი აქვს. კარგი შვილები და ახალმოყვანილი თვალხატულა რძალი ამშვენებს მის ეზო-კარს.

ეთერმა ოცდაორი წელიწადი რაიონული გაზეთის „ახალი სვანეთის“ რედაქციაში იმუშავა ლიტმუშაკად, განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ, მაგრამ როცა მესტიისა და ლენჯერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები შეერთდა და იქ განთავისუფლებულ პარტბიუროს მდივნად გადაიყვანეს, ამ დიდ მოვალეობაზე უარი არ უთქვამს, მალე გამოყოფილი ლენჯერის მეურნეობის დირექტორობა შესთავაზეს. სულ მუდამ მწველავებთან, მეცხოველეებთან, მემინდვრეებთან მიუხაროდა, რომ იტყვიან საქმეებში ჩაიძირა და ჩამორჩენილი მეურნეობა ორ წელიწადში მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

ხელმძღვანელს ეიოლება ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან საერთო ენის გამონახვა, მათი საქმეში ჩაბმა და აყოლიება. ამ თვისებების გამო მუშებიც ეკრძალვიან და პატივს სცემენ უნარიან დირექტორს.

ლენჯერელებს 339 ჰექტარი სათიბი აქვთ. ადრე გაზაფხულზე კარგად გაანოყიერეს და თიბვა ივნისში, ვადაზე ერთი თვით ადრე დაიწყეს. ახალი მეთოდით მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო. ყუათიანი ბალახი წელიწადში ორის ნაცვლად სამჯერ გათიბეს, ერთიორად იმატა ხარისხიანი თივის ტონებმა. აქაურებისათვის საქონლის საკვები ხანგრძლივი ზამთრისთვის ყველაზე მეტად ფასობს. თუ საკვები უხვად აქვთ, ზამთარი ვერას დააკლებთ. წლეულს მეურნეობამ ჰექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრ. ჯაფარიძის ფოტოები

ე. მჭედლიანი ესაუბრება გ. ფილფანს და გ. ხაფთანს

ტარზე 5 ტონის ნაცვლად 10 ტონა თივა მიიღო. მეწველ საქონელს ნესგუნის მთაზე გზავნიან ზაფხულობით, მოზარდებს—ჰარამზე. განსაკუთრებით ამ დროს უყვარს ეთერს მეცხოველეებთან მთაში სტუმრობა, ისე კვირა როგორ ჩათავდება, ფერმის გამგესთან და ვეტექიმთან ერთად არ მოინახულოს, გვერდით არ ჩამოუჯდეს მწყემსებს, მწველავებთან არ ისადილოს და არ ივახშმოს.

მეურნეობაში 300-მდე მუშახელია დასაქმებული. ისინი მემინდვრეობის ხუთ და მეცხოველეობის ერთ ბრიგადაში არიან გაერთიანებული. წარმატებით იყენებენ ბრიგადულ იჯარას, რომლის სიკეთემ შედეგი გამოიღო, თითოეულმა მწველავმა შეასრულა ყოველთვიური გეგმა. შრომით გამოირჩევიან სვეტლანა უდესიანი, ლუნა ნავერიანი, ელისო ფილფანი, ელგა ნავერიანი და სხვები.

ეთერი რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა. ბევრი კარგი თვისება მამისაგან გამოჰყვა. მაგალითად, კაცთმოყვარეობა, გაჭირვებაში დახმარება. აბრამ მჭედლიანი მთელს სვანეთში ავკარგიანობით განთქმული და ჭკუასაკითხავი კაცი ყოფილა, მისი სიტყვის ძალა და ფასი ხაიშიდან მესტიამდე ვის არ მისწვდენია. ჰყვარებია „ვეფხისტყაოსანი“, „შახნამე“, „ამირან-დარეჯანიანი“. მამამ შეაყვარა ხუთივე შვილს კითხვა. ეთერს სიკეთე და კეთილშობილება, რაც ბავშვობიდან ღრმად ჩაებუდა სულში, შველის მუშაობაში. ადვილი როდია ზოგიერთ სოფელში ისევ შემორჩენილი ადათწესების ერთბაშად დაძლევა. გადაჭარბებული გლოვა იციან სვანებმა.

ალკოჰოლის მავნე გავლენაც მწვავედ იგრძნობა მთაში, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ამ მტკივნეულ საკითხებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. გარს საუკეთესო აქტივი ჰყავს შემოკრებილი. ზოგჯერ ისეთ მივარდნილ სოფელშიც მიემგზავრება ცხენით, სადაც ფათერაკებია მოსალოდნელი.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს. მარშან დიდთოვლობისას ცხრა ტონა თივა უსასყიდლოდ დაურიგა მათ და იმდენი ნამატიც გადარჩა,



ეთერ მჭედლიანი

რომ მეზობელ მეურნეობებსაც გაუმართა ხელი; რძით ამარაგებს მრავალშვილიან, ხელმოკლე ოჯახებს. არც სოფლის ახალგაზრდებს აკლიათ ეთერის მზრუნველობა: სამომავლოდ სპორტული კომპლექსის აშენებას აპირებს, განზრახული აქვს ახალი ბაგა-ბაღითა და კეთილმოწყობილი კლუბით დაამშვენოს ლენჯერი, ადმინისტრაციული შენობა ახლით შეცვალოს...

ბუმბერაზი მთების საუფლოში, მესტიაჭალისა და მულხურის შესართავის ჭალას ერთი კეთილმოწყობილი, მკვიდრად ნაშენი ქვითკირის ერთსართულიანი ოდა-სახლი ამშვენებს, სადაც ყველა სიკეთით შემკული ეთერ მჭედლიანის და სეით ხერგიანის მრავალრიცხოვანი ოჯახი სახლობს.

ამ სახლიდან სიკეთე ზემო სვანეთის ბევრ სოფელს სწვდება.

**ნანული ბუკია**

# ქართული

ყველამ იცის, რომ ბორჯომის რაიონს შეუდარებელი ბუნება, ჰავა და საქვეყნოდ განთქმული მინერალური წყლები აქვს, რომ მასში შემავალი ყველა დიდი და პატარა სოფელი კურორტია. ისიც ცნობილია, რომ მთელი წლის მანძილზე დასასვენებელ სახლებსა, ტურისტულ ბაზებსა და პიონერულ ბანაკებში ათასობით ადამიანი იკაჟებს ჯანმრთელობას,

ბაკურიანი კი, რომელიც ზღვის დონიდან 1700 მეტრზეა აზიდული, საქვეყნოდ ცნობილია კოხტაგორის ტრამპლინებითა და უშიშარი სპორტსმენებით.

მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ბაკურიანის მახლობლად მდებარე მთებში უთვალავი ტონა ანდეზიტის ქვა დევს.

ქიმიური მრეწველობისათვის მეტად საჭირო ანდეზიტის ღია საბადო ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში.

ბორჯომიდან სოფელ ციხისჯვრის ავტობუსს მივყვები. შუა ზაფხულია, ბაკურიანი აყვავებული ყაყაჩოების, აკაციებისა და იასამნის ყვავილებით შემომეგება. კოხტაგორის ზემოთ, პირწკალის მთებში, თოვლი აქა-იქ შემორჩენილა, რომელიც მზეზე ალმასივით ბრწყინავს. ამბობენ, თურმე ამ შემორჩენილ თოვლზე ამოდის, იშვიათი სილამაზის ყვავილი ედელვაისი.

სწორედ ამ ყვავილის სახელწოდების სამთო-მსროლელი დივიზია შემოუსია ჰიტლერმა გულზვიად მთებს. მაგრამ ისინი ვერც კბილებამდე შეიარაღებამ იხსნა და ვერც ლამაზი ყვავილის სახელწოდებამ ჩვენი 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის რისხვისაგან.

სოფელ ანდეზიტის გადასახვევთან ჩამოვდივარ. შორიდანვე მოჩანს ღია საბადოები, საიდანაც აფეთქებისა და მანქანაბულდოზერების თუხთუხი ისმის.

ორ კილომეტრამდე მანძილი გავიარე. საცხოვრებელი სახლები ანდეზიტის ქვით არის აშენებული, უმეტესობა პირისფრად არის შეფეთქილი. ბევრი სახლის ეზოში საქონლის ბოსლებია, საკარმიდამო ნაკვეთებში ძველი და ახალი ნაკელის „მთები“ დგას. სოფლის ბოლოს ნახირი ბალახობს. წინ ხშირი წვიმებისაგან გადარეცხილი მდინარე ბორჯომულა შემომეყარა, რომელიც ანდეზიტის ქვებს მოაგორებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდეზიტი საუკეთესოა მსოფლიოში

# ბაკურიანის საბადოებში



ნ. ქარელის ფოტო

ნინო კიკნაძე და ისკუნ მაიტესიანი

სოფლის სამხრეთით ცხელი პურის სურნელმა მხარი მაცვლევინა.. მოსახვევიდან ექვსიოდე ბიჭუნა გამოჩნდა, რომელთაც ხელში დიდრონი, აფუებული პურები ეჭირათ. ცელქები დროს უქმად არ კარგავდნენ, ცალი ხელით პურის გულს გლეჯდნენ და მადიანად ილუკმებოდნენ. მესიამოვნა მათი წითლად ალანძული სახის ფერი და კარგი მადა. სულ პატარა ბიჭი მომიახლოვდა თუ არა, პური მოტეხა და გამომიწოდა:

— გმადლობთ, არა მშია, — ვიცრუე მე.

— გშია!

— თქვენ რა იცით?

— თვალებზე გატყობთ.

ჩვენი დიალოგის პატარა მსმენელები ახარხარდნენ. სხვებმაც მეგობარს მიბაძეს.

ბიჭები გამიშინაურდნენ და თავიანთი გეგმები გადმომიშალეს, — მეოთხე კლასამდე ჩვენს სოფელში ვისწავლით, მეოთხე კლასიდან კი ბაკურიანში ვივლით. საკუთარი ავტობუსიც გვექნება. სკოლას რომ დავამთავრებთ, ჯარში წავალთ. — თან დაუმატეს, ყველა ბიჭი ჯარში უნდა წავიდესო; იქიდან დაბრუნებულნი ამ მთებს ავაფეთქებთ და ანდეზიტის ქვას ჩამოვიტანთო.

დავემშვიდობე მომავალ ანდეზიტელებს და თავიანთი გეგმების ფრთაშესხმა ვუსურვე. ჰაერში მოცეკვავე ხიდით მდინარეზე გავედი. მთის ძირას აშენებული ორსართულიანი შენობა ანდეზიტის საწარმოს კანტორაა. ადგილზე მხოლოდ მთავარი ბუღალტერი მარგალიტა გრამატოპულო დამიხვდა. ეშხიან შავ თვალებს ტალკვესივით აკვესებს და ჩემს შეკითხვებზე ძუნწად იძლევა პასუხს:

— ჩვენს საწარმოში სულ 250 მუშახელი გვყავს, რომლებსაც ხელფასიც კარგი აქვთ და ბინის ფართობითაც ვაკმაყოფილებთ. მაგრამ მუშახელის სიმცირის გამო გეგმას ვერ ვასრულებთ. ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარიც ხელს გვიშლის.

ამ ქალს თითქოს რაღაც უსესხნია გოლიათი მთებისა და დიდებული ბუნებისაგან.

— ხელფასის საშუალო რაოდენობას ხომ ვერ მეტყოდით?

— 250 მანეთიდან 300 მანეთამდე; — მოკლედ მოჭრა მან.

როცა ანდეზიტის ქვის ისტორიით დავინტერესდი, მთავარი ინჟინრის კაბინეტზე მიმითითა:

— ნინო კიკნაძე შესვენებიდან დაბრუნდება და მან ანდეზიტის ისტორია ზეპირად იცის.

ნინო მხიარულად შემომეგება. ის საშუალო სიმაღლის საოცრად ცოცხალი ქალია, თეთრ-ყირმიზ სახეზე თვალები ერთთავად უცინის, იგი ენთუზიაზმით მაცნობს ანდეზიტის საწარმოს ღირსებასა და მნიშვნელობას.

— ანდეზიტი ამერიკელებსაც აქვთ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ ჩვენი უფრო სიმჟავეგამძლეა. როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის ქიმიურ ქარხნებში ჩვენი ანდეზიტის ქვით ღუმელებს აშენებენ, ხოლო მისი ფქვილით ლესავენ, რაც ცემენტზე ბევრად მაგარია. ჩვენი ანდეზიტი 1905 წელს აღმოუჩენიათ, მაგრამ მაშინ მხოლოდ საშენ მასალად ხმარობდნენ. ქვას თურმე ხელით თლიდნენ ქვისმთლელები. სოფელ ციხისჯვრის ფერმები მაშინდელი აშენებულია. 1909 წელს ამ ქვით ხაშურის დეპო და ბორჯომის „ეკატერინეს წყარო" აუშენებიათ. ეს ქვა 1925 წელს ლენინგრადის ქიმიური ქარხნის მშენებლობისათვის გამოიყენეს.

ჩვენს საწარმოში 1930 წელს რკინიგზის ხაზი „კარიერამდე" გამოუყვანიათ. ამ გზით დღესაც გადაგვაქვს ბორჯომამდე როგორც ელექტროხერხით დამუშავებული ქვა, ისე ანდეზიტის ფქვილი. წისქვილი 1946 წელს აშენდა და იქ უმეტესობა ქალები მუშაობენ. გვყავს შრომის მოწინავენიც: ბელა ბესტავაშვილი, ჟუჟუნა ბლიაძე, ნინო გელაშვილი, ჯულიეტა კარკოზაშვილი, ნაზიკო ტალახაძე, ზინაიდა ჩერნიევა და სხვანი. დღეისათვის ყველა სამუშაო მექანიზებულია. ხელის შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი. რაიონის ხელმძღვანელობა გულისხმიერად გვეკიდება: გვაქვს საყოფაცხოვრებო და სასურსათო მაღაზია, პურის საცხობი, მუშათა სასადილო, ხილბოსტნეულის ფარდული. კავშირგაბმულობას ვემდურით, ჩვენი ტელეფონი მეტწილად დუმს.

დირექტორი ალექსანდრე გოგოლიძე ხელს მართმევს და სასაუბროდ ემზადება, გაკვირვებული შევყურებ და ვფიქრობ: რამხელაა დალოცვილი, საკაძის მხარ-ბეჭი აქვს. საგანგებოდ შეურჩევიათ ასეთი მძიმე და ვაჟკაცური სამუშაოსათვის. მგონია, ამ მთებს სხვების დაუხმარებლადაც მოანგრევს.

თუმცა ჩვენი საწარმო მსოფლიო მნიშვნელობისაა, არცთუ ისე გვანებივრებს პრესა. მართალია, თავს ვერაფრით მოგაწონებთ. დაკვეთები უამრავი გვაქვს როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მაგრამ გეგმას ვერ ვასრულებთ, რადგან მანქანა-იარაღები მოძველებულია და ხშირად გამოდის მწყობრიდან, საათებს გვაკარგვინებს. მოგეხსენებათ, ღია კარიერზე ზამთარში ანდეზიტის ქვას თოვლი და ყინული ერევა. მერე მისი დიდ ტემპერატურაზე გაშრობა გვიხდება. ვამსხვრევთ და ვფქვავთ. წისქვილიც მცირე წარმადობისაა. გადაწყვეტილი გვაქვს ახალი მანქანა-იარაღები შევიძინოთ და სამჯერ მეტი წარმადობის წისქვილი ავაშენოთ, რაც დაახლოებით 14 მილიონი მანეთი დაჯდება.

— ანდეზიტი მავნებელია ჯანმრთელობისათვის?

— თავად მადანი არა, მაგრამ მუშები ხომ 5 პროცენტ ნატრიუმს ურევენ ანდეზიტის ფქვილში.

— იქნებ 5 პროცენტი ნატრიუმი არ არის მავნებელი?

— როგორ თუ 5 პროცენტი!, — ხმაში წყენა დაეტყო დირექტორს, — ისინი ნატრიუმით სავსე კასრებს ხსნიან, რომ ანდეზიტის ფქვილში შეურიონ და გამოდის რომ 100 პროცენტთან აქვთ საქმე! წისქვილში კი ანდეზიტის მტვრისაგან ხილვადობა ჭირს. ქალები ნიღბებით მუშაობენ და 50 კილოგრამიან ტომრებს ავსებენ...

როგორც ხედავთ, შრომის მძიმე პირობები ჯერ კიდევ ხელს გვიშლის მუშახელის მოზიდვაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, ახალი მანქანა-დანადგარების და სხვა ტექნიკური სიახლეების იმედი გვაქვს.

**თინა მირზაანელი**

## რუსუდან მკერვალიშვილი

### დაე...

მსურს რომ ამჩნევდეთ წრფეს და მონაკვეთს
და დაფას ვხაზავ მრუდით, ტეხილით,
დე, ვაზიანის ბავშვთა ჟივილმა
გადამიაროს თავზე მეხივით.

მიცქერთ თვალებით, ანთებულებით,
და ხაზებს ავლებთ ფრთხილად, სხივივით...
იანოს მთიდან ნაკადულები
დე, დამეძგეროს გულზე ხივილით.

თუ ვერ შევძელი, რომ დავინახო,
ვით ამამაღლონ ჩემმა ხატებმა...
მე აქ დავმიწდე, აქ დავიმარხო
და აღმოვცენდე სხვა მომხატველად.

მსურს შეგასწავლო სწორი, ჟინიანს
და დაფას ვხაზავ წრფით და ტეხილით,
დე, ვაზიანის ბავშვთა ჟივილმა
გადამიაროს თავზე მეხივით.



### დამკარი შენი ლექსის მახვილი

კვლავ აიწია ზეცის თაღები,
ჟივილით ჰყვავის ეს, ქართლის მიწა,
კვლავ აშრიალდა ნაზი ბაღები,
ზვრები და, ვაზის კალმებიც ვიცან.
დგას ვაზიანი ბაზმა — ნათელის,
გამოქცევია სიზმრებს ზღაპარი...
და შენც ინთები როგორც სანთელი,
იწვები, ვითარც წმინდა ლამპარი.
დააგიზგიზე სულში კოცონი,
რომ კვლავ ისმოდეს სუბართ ბგერები...
და ჭვარს წინაპრის გულზე მიწოლილს
ვიცი, რა ფიქრსაც გაადევნებდი.
აქ სუბარების სული ტრიალებს,

შავ ხნულებს ვფურცლავთ
და ვეფერებით,
რადგან მთაც მათი ჩმებით წკრიალებს
და ბარიც სუნთქავს მათი გენებით.
გულს დავარიგებთ გლახის წილ გროშად,
ვლოცულობთ ხელში წმინდა კელაპტრით
აქ, ვაზიანზე გასაშლელ დროშას
დაგვირისტებულ ყაჭით ვკერავდით.
მთებს ცისარტყელა დაადგა მცველად,
მწყემსებს მოუდით ზღაზვნით ნახირი,
გულგადალეღილ ამ მიწის მხევალს
დამკარი შენი ლექსის მახვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მღელვარებით სავსე ღამე

თენგიზ გოგოლაძე



ჩანახატი ავტორისა

მოთხრობა

შეყვარებულები პაემანისთვის ყოველთვის მყუდრო ადგილს ეძებენ. ჩვენც მოვძებნეთ ასეთი ადგილი: მთაწმინდის ძირას, ერთ პატარა სკვერში.

ძნელად დასაძლევი ბარიერი სამი დღის წინ გადავლახე: სიყვარულში გამოვუტყდი. იმ წუთებისთვის კი სამი ღამე თეთრად გავათენე. რას არ ვფიქრობდი, რა აზრებს არ ვუყრიდი თავს! ბოლოს ერთი ხიტყვა შემომრჩა, რომელიც თრთოლვით ვუთხარი:

— მიყვარხარ!

ეს რომ გაიგონა, თავი დახარა, დუმილი ჩამოვარდა. გული ყელში ამომდიოდა. მისი განაზება კარგად მენიშნა, მაგრამ მთავარი მაინც სიტყვა იყო. და იგიც, ალბათ, ისეთივე მღელვარებით ეძებდა პასუხს, რაც მე იმ ერთი სიტყვისათვის განვიცადე... მას კი სულ მცირე დრო ჰქონდა მოსაფიქრებლად. ბოლოს, თითქოს ჯერაც სხვათაგან უთქმელი სიტყვა მოძებნაო, ჩუმად თქვა:

— ჰო.

ეს იყო და ეს. მერე ამომხედა. მის გაბრწყინებულ, თითქოს ელდანაცემ თვალებში დიდი ბედნიერება დავინახე.

და ახლა ძელურ სკამზე ვსხედვართ გვერდიგვერდ.

შემოდგომის ცივი სალამოა. სკვერი დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთლებითაა მოფენილი. სკვერის წინ ვიწრო ქუჩაა, ქუჩის იქით — ძველი, უსწორმასწოროდ აგებული თუ ჟამთა მსვლელობით დაბრეცილი, ერთმანეთზე მიხონხლილი, დიდ-პატარა აივნიანი სახლები.

არავინ ჩანს.

— გცივა? — ვეკითხები და ხელს ვკიდებ. კრთება, ხელს განზე სწევს.

— არა, არ მცივა. შენა?

— არც მე...

ასე ვიწყებთ იმ დიდსა და დაუსრულებელ დიალოგს. შუაღამემდე რომ გასტანა.

თურმე რამდენი სალაპარაკო გვქონია! პირველად მეგონა, ვერაფერს ვიტყოდით, დავსხდებოდით და ჩუმად ვიქნებოდით საკუთარ გულთა ბაგაბუგს მიყურადებულები.

მალე ჩვენს მომავალს შევეხეთ. დიდი, საოცნებო გეგმები დავაწყეთ მაშინ, როცა გერმანელი ფაშისტები კავკასიონის ქედზე იყვნენ შემოსულნი და ომის ბათქაბუთქი ლამის თბილისამდე აღწევდა.

თბილისში შუქშენიღბვა იყო, მკაცრი სამხედრო წესები და კომენდანტის საათიც — ღამის თორმეტიდან დილის ექვს საათამდე ცხვირს ვერ გაჰყოფდით ქუჩაში.

ვსხედვართ სკვერში, შევყურებთ ფანჯრებდაგმანულ, ჩაღამებულ ძველებურ სახლებს და ჩვენ, ამა ქვეყნის სიავეს განრიდებულნი, სადღაც შორს, შორს მივფრინავთ.

როცა მთვარე ამოვიდა და სკვერი მკრთალად გაანათა, მაშინღა მოგვაგონდა მიწიერი ამბები, რომ გვიანი იყო და შინ დედები გულის კანკალით გველოდნენ, რომ მალე ქალაქში კომენდანტის საათი დაიწყებოდა... ვინ იცის, იქნებ კიდეც დაიწყო?!

ერთმანეთი კი არ გვეთმობოდა.

დადგა მღელვარებით სავსე ღამე, მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ნეტარ მოსაგონარი, განუმეორებელი სიტკბოებით სავსე.

შინ მივაცილე. ერთხელ კიდევ თავბრუდამხვევად ვაკოცე და ბნელ ქუჩაზე თავქვე დავეშვი... უბნის ვიწრო შუკებში არავინ ჩანდა. მოტაცებული ბედნიერებით მხოლოდ მე მივქროდი ქვემოთ, რუსთაველის პროსპექტისაკენ.

პროსპექტი მთვარეს გაენათებინა. კანტიკუნტად მიიჩქაროდნენ აბუზული ადამიანები. გული მომეცა, რომ კომენდანტის საათი ჯერ არ დაწყებულიყო და თუ ფეხს ავუჩქარებდი, შინ უთუოდ მივასწრებდი.

— თქვენი საბუთები! — თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ჩემს წინ ავტომატებით შეიარაღებული ორი სამხედრო პატრული აღიმართა. ცივი და ერუანტელის მომგვრელი იყო მათი სიმტკიცე.

მთავარმა პატრულმა ჯიბის სანათური ჯერ ჩემს სახეზე შემოატარა, მერე საბუთებს დაანათა. ამასობაში სული მოვითქვი, მაგრამ მაინც ვღელავდი.

— თავისუფალი ბრძანდებით! — პატრულმა საბუთები დამიბრუნა და ხელიც მხედრულად ამიღო.

მოვკურცხლე.

ვერის ძველ ბაზართან რომ მივაღწიე, კომენდანტის პატრულის კიდევ ერთ წყვილს გადავუყარე.

— თქვენი საბუთები!

პატრულთაგან ერთ-ერთმა ჯიბის ნათურა სახეზე ოდეკოლონის სასხურებელივით მომიმარჯვა და მისი მკრთალი ჭავლით გამინათა. გამეღიმა. პატრულს არაფერი უთქვამს; სანამ საბუთებს ამოვიღებდი, ჯიბის საათს დახედა, ძეწკვის ჩხარაჩხურით რომ ამოიღო და სახურავი წკაპანით გადახსნა.

მთელი დასტა საბუთებისა მივაწოდე.

პატრულმა საბუთები დამიბრუნა და მანაც მხედრულად ამიღო ხელი.

— შეგიძლიათ წახვიდეთ!

— გმადლობთ, ნახვამდის!..

მერე, როცა სწრაფად გავშორდი, მომაძახა:

— შვიდ წუთში შინ რომ იყოთ!..

ბრძანებაც იყო და კეთილი სურვილიც. რას იზამ, ომია! შვიდ წუთში შუაღამე დადგება. საბურთალომდე კი დიდი მანძილია... მოვასწრებ კი შვიდ წუთში ავირბინო სამხედრო გზის აღმართი?!

ჯერ დაღმა დავეშვი, მდინარე ვერეზე გადებული ხიდისკენ. ხიდის მოაჯირები ბრინჯაოს უზარმაზარი ფასკუნჯებით იყო დამშვენებული.

ხიდს გადავივლი, აღმართს ავლევ და ჩვენი სახლიც იქვეა: პატარა ეზო, სოფლური ყაიდის ფიცრის ჭიშკრით... ვიცი, ახლა დედაჩემი ჭიშკართანაა ატუზული და შიშით ცახცახებს. საღამოს ხკოლიდან ასე არასოდეს შემგვიანებია.

მთვარე მაღლა წასულიყო. ხიდის ყურე კარგად გაენათებინა.

ერთ-ერთ ფასკუნჯთან შეიარაღებული ჯარისკაცების ჯგუფი შევნიშნე. ოთხნი იყვნენ. მიდი და ჩაურბინე! ისეთი ეჭვის თვალით შემოგხედავენ, ფეხს არ გაგანძრევინებენ. რას იზამ. შუბლზე არ გაწერია, ვინა ხარ და რა ხარ. ნაბიჯი შევანელე. მიუხედავად იმისა, რომ გულისფეთქვა სუნთქვას მიკრავდა, ქვეყანა მაინც ჩემი მეგონა ამ უბნით, ამ მთვარიანი ღამით, ამ ფასკუნჯებიანი ხიდითა და შეიარაღებული პატრულებით.

— შესდექ!

ჯარისკაცები მოემზადნენ, იარაღს მაგრად ჩასჭიდეს ხელი. ერთი მათგანი წინ გადამიდგა; რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, ჯიბის ნათურა დააძრო.

— საბუთები!

ხიდთან მდინარე ვერე ჩხრიალებდა, მაგრამ ოთხი ზორბა ჯარისკაცის სუნთქვა აშკარად მეყურებოდა. ისე ხვნეშოდნენ, თითქოს მთელი გზა უკან მომდევდნენ და აქ, ხიდის ყურეში, ფასკუნჯებთან წამომეწივნენ.

სანამ ჩემს სახეზე პატრულმა ნათურის ჭავლი მოატარა, სანამ ჩაკირკიტებით ჩაიკითხა საბუთები, საკმაო წუთები გავიდა. სამხედრომ საბუთები დაკეცა, საათს დახედა და მითხრა:

— დაგაგვიანდა, მტრედო... ახლა მილიციის განყოფილებაში მოგიწევს ყურყუტი. სემიონოვ! ლიაპკინ! მიაცილეთ ამხანაგი!

ორი პატრული მხარში შესწორდა და აქეთ-იქით ავტომატმომარჯვებულები ამომიდგნენ.

— აქვე ახლოს ვცხოვრობ... ორ ნაბიჯზე... სულ რაღაც, ერთ წუთში შინ ვიქნები... დედა მელოდება, — წამოვიწყე, მაგრამ პატრულთა უფროსმა ხმა მაშინვე ჩამაწყვეტინა, ისე, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს.

რაღას ვიზამდი! შევტრიალდი და ფიქრისგორის აღმართს ავყევი. მწყობრად მიმაცილებდა ოთხი მძიმე ჩექმის ბრაგაბრუგი.

მილიციაში შეშფოთებით შეგვხვდნენ.

— რა დააშავა? — მკაცრად იკითხა მორიგე ლეიტენანტმა და ამ ახალგაზრდა კაცმა თვალები ისე გადმომიბრიალა, ლამის მიწა გამისკდა და თან ჩამიტანა.

— კომენდანტის საათის დარღვევა! — მოკლედ მოახსენა, არ ვიცი, სემიონოვმა თუ ლიაპკინმა, ლეიტენანტს ჩემი საბუთები გადასცა, თავისი მოვალეობა დამთავრებულად ჩათვალა და, არ ვიცი ლიაპკინი იყო თუ სემიონოვი, თავის ამხანაგს მიუბრუნდა და უთხრა:

— წავედით!

ჯარისკაცებმა სამორიგეოს კარი რომ გაიხურეს, ლეიტენანტმა ჩემი საბუთები ზერელედ გადაათვალიერა და ტელეფონთან დაყარა.

სამორიგეოში მიმოვიხედე. საკმაოდ დიდი ოთახი იყო. ფანჯრებზე მაუდის ნაჭრები ჩამოეფარებინათ, სინათლე რომ არ გასულიყო. ერთი გადატიხრული კუნჭულიც იყო ამ ოთახში, ძელური სკამით. ორი ხანშიშესული მილიციელი ფეხზე იდგა, ერთი კი კართან იჯდა და გაზეთის ქაღალდში წეკოს ახვევდა.

კედელზე ძველებური, ქანქარიანი, ჯაჭვ-გირაგიანი საათი ეკიდა. საათს რომ შევხედე, ლეიტენანტის ხმა შემომესმა:

— რომელია, სცნობ?

მის გულუბრყვილო თუ დამცინავ შეკითხვაზე გამეცინა.

— სად დაეხეტებოდი ამდენ ხანს?

— არსად.

ლამის გაგიჟდა. წამოხტა, თვალები დამიბრიალა.

— მით უარესი შენთვის! გიჟი ყოფილხარ... ლაცაბიძე, გაჩხრიკე და ჩასვი!

ერთი მილიციელი ჩემკენ კი არ წამოვიდა, კუთხეში მოწყობილ ტიხართან მივიდა და დამიძახა:

— მოდი!

ლაცაბიძემ მკერდზე და ბარძაყებზე, ჯიბეების ადგილზე, მიმისვამომისვა ხელები.

— არაფერი აქვს, უფროსო!

ლეიტენანტმა რაღაც დაიღმუვლა.

ტიხარი იმდენად დაბალი იყო, ლეიტენანტსაც კარგად ვხედავდი და მილიციელებსაც, რომლებიც წამდაუწუმ ამთქნარებდნენ, ერთმანეთში არ საუბრობდნენ და თვალები ებლიტებოდათ. ლეიტენანტი კი ფხიზლად იყო, შემართული, საქმიანი, დროდადრო ხელქვეითებს რაღაცას შეუძახებდა და ისინიც ძილგამფრთხალნი წამოცვივდებოდნენ.

ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ მორიგე ლეიტენანტი მამალაძე!

ვიღაც შინაური თუ მეგობარი ურეკავდა. საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ლეიტენანტი ყურმილს ხმამაღლა ჩასძახოდა. მისი მჭექარე ხმა ალბათ ქუჩაშიც გადიოდა და უბანს ძილს უფრთხობდა.

— არა, სარქის, შენი ჭირიმე, ამათთან არაფერი გამოდის... მოსკოვს უნდა მივწერო... ჩემი ადგილი ფრონტზეა, ფრონტზე! ან მტერს უნდა შევაკვდე, ან ჰიტლერი ჩემი ხელით ჩამოვათრიო... არაო, აქაც ფრონტიაო... რა ფრონტია?! აბა, ეს არის ფრონტი?!

ეს რომ თქვა, ისეთი თვალებით გადმომხედა, ისე დამიბრიალა და დამცეცხლა, ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად გაგიჟდა-მეთქი. მე რას მერჩოდა! ნეტავი რა დავუშავე! გული მომივიდა. მე არ ვუშვებ ფრონტზე? წავიდეს, ჩემს სიტყვას რომ ძალა გააჩნდეს, ახლავე გავაგდებდი. მაგრამ მე ვინა ვარ! სულელივით გამეღიმა. ლეიტენანტმა ეს რომ შემნიშნა, ყურმილში ჩასძახა:

— დაიცა ერთ წუთს, სარქის, დაიცა...

ყურმილი მოიშორა და დამიღრიალა.

— შენა, იცი... რა გაცინებს?! აბა, რა ნახე სასაცილო, ან რა გაიგონე ისეთი?

— არაფერი. ჩემთვის გავიცინე... არ შეიძლება?

— გიჟი ხარ და იმიტომ! სწორედ დაგისვი დიაგნოზი... უყურე ერთი, ამასა! — მერე ისევ მიიდო ყურმილი და ჭექა-ქუხილით განაგრძო საუბარი.

ერთხანს მყუდროება ჩამოვარდა. ლეიტენანტი რაღაცას წერდა. მე კი სიყვარულით დაბანგული, ისევ იქ, მთაწმინდის ძირას პატარა სკვერში ვიყავი ალერსსა და ოცნებებში ჩაძირული. თან საათს შევყურებდი. ქანქარა კი გამალებით მოძრაობდა, მაგრამ ისრებს თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს ძვრა არა ჰქონდათ. გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, გათენებისას თუკი გამიშვა ამ გიჟმა!

ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა.

— გისმენთ მორიგე ლეიტენანტი... სარქის, შენა? რას მეუბნები! სოლოლაკში კაცი დაჭრეს?

ამის თქმა და ჩემსკენ თვალების გადმობრიალება ერთი იყო. მე უკვე გულთან აღარ მივიკარე მისი საქციელი. აბრიალოს, რამდენიც უნდა! იმ დროს ღრმად ვიყავი დარწმუნებული — თუკი მართალი ხარ, ძლიერიცა ხარ. ეს ყველაფერს ნიშნავს და ვერც ვერავინ მოგერევა!

ყურმილი რომ დადო, ისევ ჩემსკენ გამოიხედა და ისე მიღრიალა, იარაღი რა უყავიო, მილიციელები ფეხზე წამოცვივდნენ.

ახლა კი ველარ მოვითმინე, ბოლოს და ბოლოს-მეთქი, წამოვხტი და მეც ვუყვირე:

— რა იარაღი, რის იარაღი?! რა შავქვად მინდა იარაღი!

ლეიტენანტს თვალს არ ვაშორებდი. გაჩუმდა, წამოწითლდა, თან საოცარი გაკვირვება აღებეჭდა სახეზე.

თავი რომ გამარჯვებულად ჩავთვალე, ისევ დავჯექი.

— იი! — ამოისუნთქა ლეიტენანტმა, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და ნელ-ნელა წამოიწია, — ამას უყურე, ერთი, რა ხმა ჰქონია! შენ ხომ არა გგონია, მართალი კაცი ხარ? მაგ ხმას ჩაგიციებ!.. გათენდება და სულ სხვა ხმაზე აჭიკჭიკდები, გამომძიებელი რომ დაგადგება თავზე!

— ვინც უნდა ის დამადგეს! — ჩავიდუდღუნე გულმოსულმა.

მოწყვეტით დაჯდა, რაღაც ჩემთვის გაუგებარი ჩაიბურტყუნა, ყოველ შემთხვევაში, გინებას არ გავდა, ამ მხრივ ანგელოზი იყო. რაც იქ ვიყავი უწმაწური სიტყვა არ წამოსცდენია.

ასე, ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა, ორი მილიციელი სადღაც გაგზავნა და მილიციელთა რომელიღაც ოპერატიულ ჯგუფს მიაშველა. ისინი რომ გაისტუმრა, ჩაწითლებული თვალები ისევ მე დამიბრიალა.

— ბინაც მე გავტეხე? — ვკითხე ახლა უკვე დამშვიდებით.

დაკვირვებით შემათვალიერა, თითქოს პირველად დამინახა. სიყვარულის ბანგმორეულს, აბა, რა მეტყობოდა კაცისმკვლელისა, ანდა ქურდისა! მიყურა, მიყურა ასე ჩუმად. ვატყობდი შინაგანად რომ შფოთავდა, ძრწოდა, ვერ ისვენებდა... მერე წამოდგა, გრაფინიდან პეშვში წყალი დაისხა და სახეზე შეისხურა. სიმხნევე მოიკრიბა, მაგიდას მიუჯდა. ტელეფონმა ისევ დარეკა. საქმიანი საუბარი გააბა. მე კი გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით ვიყავი. ვინ იცის, რა დღეშია საცოდავი დედაჩემი. უთუოდ ჭიშკართან დგას და ჩაბნელებულ გზას გაჰყურებს... მე საათს მაინც შევცქეროდი და შემიძლია დროს გუნებაში გავესაუბრო, საათის წიკწიკს ვუსმინო და დროის ფეთქვა ამით მაინც ვიგრძნო; როგორ ძლივსძლივობით მიათრევდა ძველი გირაგიანი საათი 1942 წლის 29 ოქტომბრის გრძელსა და მღელვარებით სავსე ღამეს.

ხვნეშით დაბრუნდნენ დაღლილი მილიციელები. ბინის ქურდი გაუკოჭავთ და ქალაქის სამმართველოში ჩაუბარებიათ... ოპერაციის ამბავს კარგა ხანს მოახსენებდნენ ლეიტენანტს. მამალაძე ხმას არ იღებდა. ფეხზე იდგა, ცალი ფეხი სკამზე დაედგა და ისე უსმენდა, ხან თვალებს აბრიალებდა, ხან ხელებს შლიდა, წუთით ჩაფიქრებული მუჭში ნიკაპს მოიქცევდა, თითქოს უნდა მოიგლიჯოსო, მერე ისევ შეტოკდებოდა, ფეხს სკამზე მოინაცვლებდა...

რა დაუდეგარი და მოუსვენარი ვინმეა! ცოდო არ არის, ფრონტზე რომ არ გზავნიან!.. რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია იქ, გახურებულ ბრძოლაში. აქ კი, კანში ვერ ეტევა და სულ შფოთავს.

— სოლოლაკში რომ კაცი დაჭრეს? — უცებ ისე იყვირა, მილიციელები შეკრთნენ.

— ორნი ყოფილან, უფროსო, — მოახსენა ლაცაბიძემ, — პატრულებმა პლეხანოვზე ჩაავლეს...

ჩავახველე.

ლეიტენანტმა ქვეშ-ქვეშ გამომხედა. მე, ვითომც არაფერი, გამეღიმა და საათს ქვემოდან ავხედე. ექვსი იყო დაწყებული.

— მაინც, რას ნიშნავდა ეს შენი ჩახველება?! — მაშინვე შემედავა. ახლა თვალებს არ მიბრიალებდა, მაგრამ ჩაციებით კი ჩამაცივდა.

— იმას ნიშნავს, რომა, კაცს ისეთი რამე არ უნდა დააბრალოთ, რისი გამკეთებელიც არ არი... იარაღიო! მე რო იარაღი მაქვს, იმდენს თქვენ სიზმარში ვერ ნახავთ.

— ხედავთ, რეებსა ბედავს! — ცქვიტად მიუბრუნდა ლეიტენანტი მილიციელებს.

— არა ვხუმრობ, — განვაგრძე დინჯად, — ყოველ დღე ასობით ნალმსა და ბომბს ვაწყობ ყუთებში, მერე მანქანაზე ვუდებ, ბეჭები გადაყვლეფილი მაქვს.

— მაჩვენე! — არ დამიჯერა ლეიტენანტმა.

უმალ გავიხადე, რაც რამ წელზემოთ მეცვა. მხარი მართლა მქონდა დალილავებული. დედაჩემი ყოველ საღამოს მალამოთი მიზელავდა.

ლეიტენანტი მომიახლოვდა, დამაკვირდა, არაფერი მითხრა, თავის მაგიდას დაუბრუნდა და დაყრილი საბუთებიდან მწვანეყდიანი წიგნაკი აიღო. ეს იმ ქარხნის მოწმობა იყო, სადაც დამხმარე მუშად ვმუშაობდი. წიგნაკში ბევრი არაფერი იყო წასაკითხი, მაგრამ ერთხანს კი დაჰყურებდა დაფიქრებული. მერე ქვეშ-ქვეშ გამომხედა. არაფერი მითხრა, საათს შეავლო მზერა. ექვსის ნახევარი სრულდებოდა. რაღაც დარდიანად ამოიოხრა, მერე ლაცაბიძეს მიუბრუნდა:

— მაშ ორივე ჩააყუდეს?

— ორივე, უფროსო!

სარქისას დაურეკა, თავის მეგობარს, მილიციის სხვა სამორიგეოში რომ იჯდა, ალბათ ლეიტენანტი, ან უფროსი ლეიტენანტი მაინც... სარქისასაც სცოდნოდა ეს ამბავი.

ექვსს რომ ათი წუთი უკლდა, ლაპარაკს მაშინ მორჩნენ.

ლეიტენანტმა ყურმილი დადო, საათს გახედა, მერე დროის სიზუსტე ჯიბის საათზე შეამოწმა და დამიძახა:

— მოდი აქა! აჰა, შენი საბუთები. ახლა აქედან გაიძურწე, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს! ღამ-ღამობით სიარულს მოუკელი. ვერ უყურებ, რა დროა! კარგი შვილი ჰყევხარ დედაშენსა, აი! გულს უხეთქამ... მაინც, სად იყავი? ნუ მეტყვი რა!.. მე ხო ვხვდები, სადაც იყავი...

არ ვიცი, რა იფიქრა, რას მიხვდა და როგორ მიხვდა. რაც უნდა ის იფიქროს!

პირველად მაშინ დავინახე მისი ღიმილი.

გარეთ რომ გამოვედი, ისევ ბნელოდა. ბნელოდა მაშინაც, როცა ფასკუნჯებით დამშვენებულ ხიდზე გადავიარე. პატრულები წასულიყვნენ. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. საბურთალოს აღმართი ავირბინე, დუქნებს იქით ჩვენს სახლ-კარს მივუახლოვდი.

მთვარე გადახრილიყო, მაგრამ ჭიშკრის კუტიკარში კარგად ჩანდა ლაზლმოხვეული დედაჩემის სილუეტი.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

ჩემს დანახვაზე დედამ ქვითინი მორთო.

— რახან ცოცხალი ხარ!..

— მაპატიე, დედა, შენი ჭირიმე! — მოვეფერე, მოვესიყვარულე. ძლივს დაიმშვიდა ძარღვები. ხელი მოვხვიე და შინისკენ გავწიეთ.

— ლამის გავთავდი ქალი! — სლუკუნებდა დედაჩემი, — სად იყავ, სადა?

— ქალაქს მივედ-მოვედე... იქით კაცი ლამის შემომაკვდა, აქეთ ერთი შეძლებული კაცის ბინა გავტეხე...

დედაჩემი შეჩერდა და შემომხედა, ისევე ალმაცერად, როგორც ამ დროს მთვარე გვიყურებდა. დედაჩემის თვალში ცრემლი დავინახე...

— გამიხეთქე გული, გამიხეთქე... ისედაც, ვითომ ცოტა ვინერვიულე!

ისევ მოვეფერე.

— ჰო, კარგი, ეს ყველაფერი ტყუილია. მაგრამ მილიციაში მაინც ვიყავი, ეს როგორ დაგიმალო...

— მილიციაში რა გინდოდა? — ისევ შეკრთა დედაჩემი.

— რა და... მილიციის ლეიტენანტ მამალაძეს ფრონტზე წასვლა უნდა და არ უშვებენ... ძლივს დავარწმუნე, რომ აქაც საქმეა, აქ უნდა იყოს იგი და ნაძირალებს კისერი მოუგრიხოს!..

მისმინა, მისმინა დედაჩემმა და ამოიოხრა:

— ნეტავი ვიცოდე, ასე რამ გადაგრია!

შემეძლო კი ათასი სისულელე მომეგონებინა. მაგრამ მთავარი, რაც უმძიმეს სათქმელად მიმაჩნდა: ჩემს საყვარელ დედას ვერ გამოვუტყდი, რა ციხკარი მენთო გულში.

სასკოლო რეფორმა მოქმედებს

# პირველკლასელი ბაღში სწავლობს

**სკოლის რეფორმა პრაქტიკულად განხორციელდა. სკოლამდელი დაწესებულებები ორგანიზებულად გადავიდნენ სწავლების ახალ სტრუქტურაზე. პირველკლასელი სასწავლებლად საბავშვო ბაღში წავიდა.**

**ამონაწერი საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებიდან:**

**„1984-85 სასწავლო წლიდან სკოლამდელ დაწესებულებებში (საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი), უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სადაც არის შესაფერისი მატერიალური ბაზა ბავშვთათვის, რომელთაც 1 სექტემბრამდე უსრულდებათ 6 წელი, გახსნან პირველი კლასები მშობელთა სურვილის გათვალისწინებით".**

ნანა ახობაძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე:

— ახალი რეფორმის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები თერთმეტწლიან სწავლებაზე გადავიდნენ. ამიტომ ექვსწლიანი ბავშვები მოსამზადებლის ნაცვლად პირველ კლასში შევიდნენ.

ექვსი წლის ბავშვი პირველ კლასში სასწავლებლად საბავშვო ბაღში წავიდა, რა თქმა უნდა, დედის ნებასურვილით.

მომუშავე დედას, რომელსაც ბავშვის დამტოვებელი არა ჰყავს და საერთოდ, ოჯახებს, სადაც ყველა მუშაობს, გამოსავალი ვერ უპოვიათ, როცა პირველკლასელი სკოლიდან დღის 12 საათზე შინ ბრუნდება და, საღამომდე ფაქტიურად უმეთვალყუროდ რჩება, ვინაიდან გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები საკმარისი არ არის ყველა ბავშვისათვის. და აი, ცხოვრებამ თავისთავად დააყენა მოთხოვნა — რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან ერთ-ერთი პრაქტიკულად განხორციელებულიყო — პირველკლასელს საბავშვო ბაღში ესწავლა.

პრობლემა, რომელიც მომუშავე დედებს ასე აწუხებთ და ანერვიულებთ ნაწილობრივ გადაიჭრა. ნაწილობრივს ვამბობთ იმიტომ, რომ ბავშვი ბაღის ბაზაზე მხოლოდ პირველ კლასში ისწავლის, შემდეგ კი სკოლაში გააგრძელებს სწავლას.

ახლა დილით პირველკლასელი დედასთან ან ოჯახის რომელიმე წევრთან ერთად საბავშვო ბაღ-სკოლაში (ასე დაარქვეს პატარებმა) მიდის და საღამომდე იქაა, როგორც ჩვეულებრივ საბავშვო ბაღში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ საათამდე მეცადინეობს, შემდეგ კი საბავშვო ბაღის ცხოვრებით ცხოვრობს.

თბილისის თითქმის ყველა რაიონში გაიხსნა ასეთი კლასები, პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების გამოკლებით. ვფიქრობთ, მომავალ სასწავლო წელს ეს უბნებიც დაკომპლექტდება.

პირველ კლასში მასწავლებლებად მოწვეულნი არიან სკოლის პედაგოგები, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელები, რომელთაც მუშაობის დიდი გამოცდილება და უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვთ.

მარინა ბერძენიშვილი — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს სკოლამდელი აღზრდის სექტორის უფროსი:

— პირველკლასელი საბავშვო ბაღში სწავლობს. ეს სკოლის ცხოვრებაში სიახლეა. გასულ წელს ამ მოვლენამ დიდი გამოხმაურება როდი გამოიწვია, დედების უმეტესობა რატომღაც სკეპტიკურად შეხვდა ბავშვის სწავლას საბავშვო ბაღში. მაგრამ ამ წამოწყებამ უკვე გაამართლა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წლეულს მიღებაზე დიდი მოთხოვნილება იყო. იმ რაიონებში, სადაც ასეთი ჯგუფები არ არის (საბავშვო ბაღებში ზედმეტი საძინაო ფართის უქონლობის გამო), მშობლები გვთხოვენ დავეხმაროთ, რათა მომავალში მათმა შვილებმაც სკოლა-ბაღში ისწავლონ.

საბავშვო ბაღში პირველი კლასისათვის ორი ან სამი დიდი, ნათელი ოთახია საჭირო: ერთი საკლასო დანიშნულებისა უნდა იყოს, სადაც დაიდგმება სასწავლო ინვენტარი (დაფა, მერხი და სხვ.) და მოეწყობა შრომის, სათამაშო, ბუნების კუთხეები. მეორე გამოიყენება — ბავშვთა დღის ძილისა და კვებისათვის, მესამე — სათამაშო ოთახი იქნება.



63-ე ბაგა-ბაღის მასწავლებელი ქეთევან ქადაგიძე



სკოლისაკენ...











ფ. იაკობაშვილის ფოტოები

1985-86 სასწავლო წლისათვის 25 საბავშვო ბაღში გახსნილია 43 პირველი კლასი, აქედან 28 ქართულია, 15 — რუსული. მეცადინეობა ყველგან ერთ ცვლაშია. გაკვეთილის ხანგრძლიობა — 35 წუთია, შესვენება — 10 წუთი, დიდი დასვენება მეორე გაკვეთილის შემდეგ — 20 წუთიანია. კლასში ბავშვების რაოდენობა არ აღემატება 30-ს.

იმ ბაღებში, სადაც შენობები ხელს გვიწყობს, მაგალითად: გლდანის, საქარხნო და საბურთალოს რაიონებში, შესანიშნავი მდგომარეობაა: პირველკლასთათვის განკუთვნილია თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისი სამეცადინო და დასასვენებელი ოთახები.

ლამარა მოსიძე — თბილისის საბურთალოს რაიონის № 63 საბავშვო ბაგა-ბაღის [illegible]:

— როდესაც შემოგვთავაზეს, რომ ჩვენთან, ბაღში პირველი კლასი უნდა გახსნილიყო, ამ ამბავს მთელი კოლექტივი დიდი მღელვარებით შეხვდა. ისეთ ეპოქაში, როდესაც სკოლებისა და აღმზრდელების წინაშე მთელი რიგი პრობლემები დგას, როდესაც მიმდინარეობს გაკვეთილის ჩატარების მრავალფეროვანი ფორმების ძიება, ბაღის პედაგოგები დავფიქრდით, შევძლებდით კი დღევანდელი პირველკლასელების მიღებას და გაძღოლას.

მაშინვე მოვიწვიეთ პედსაბჭოსა და მშობელთა გაფართოებული სხდომა. გავეცანით სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროგრამას, [illegible] ბევრად განსხვავდება ბაღის აღზრდის პროგრამისაგან. ივლისის თვეშივე დავაკომპლექტეთ [illegible] ბავშვით. პირველი [illegible] ლებლად დაინიშნა ჩვენივე ბაღის აღმზრდელი სკოლაში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე ქეთევან ქადაგიძე. ბაღთან ახლო მდებარე თბილისის მე-60-ე საშუალო სკოლის პედაგოგს ვერიკო წენგუაშვილს ვთხოვეთ კონსულტაცია გაეწია პირველი კლასის პროგრამის მიხედვით.

გამოვყავით სამი ოთახი, აღვჭურვეთ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ვფიქრობთ, ბავშვებისათვის გაკვეთილები მოსაწყენი და ერთფეროვანი არ უნდა იყოს. კომპიუტერების ეპოქაში, ჩვენც აქედანვე მათემატიკური ცოდნისაკენ უფრო წარვმართავთ ბავშვებს, ამისათვის ვიყენებთ სხვადასხვა თავსატეხებს: „სასაცილო კაცუნები", „ვინ სწრაფად ავა კიბეზე", „ვითევზაოთ", „დაასრულე მომდევნო რიცხვი". ასეთი თამაშობებით პატარები სწრაფ აზროვნებას ეჩვევიან.

ცნობილია, რომ ექვსი წლის ბავშვისათვის აუცილებელია თამაში. თამაშით ის იმპულსის აქტივობას იკმაყოფილებს. ამიტომ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გოგონები თოჯინებით ერთობიან, ბიჭები — კონსტრუქტორებს აწყობენ. ასე ენაცვლება სწავლას გართობა.

* * *

საბავშვო ბაღების პირველ კლასებში დედებს შევხვდით. ისინი კმაყოფილი არიან ამ სიახლით. ერთი წელიწადი ცოტა დრო არ არის. ამ პერიოდში ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად უფრო მომძლავრდება. მის ცნობიერებაში შეუმჩნევლად შევა გაკვეთილი, მერხი, დაფა. პატარა დიდი სკოლისათვის საფუძვლიანად მოემზადება.

შვიდი წლის ბავშვი უკვე დამოუკიდებელია, მშობლებსაც აღარ შეეშინდებათ შვილის გახანგრძლივებულ სკოლაში ან კლასში დატოვება.

დიდი ფუნქცია აკისრია გახანგრძლივებული დღის ჯგუფებს, რომელთა ქსელიც გაფართოებას მოითხოვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი რიცხვი გაიზრდება და ბავშვების უმეტესობა იქ ისწავლის.

პირველკლასელი მთელი დღე ბაღში სწავლობს და ცხოვრობს.

მეორეკლასელი მთელი დღე სკოლაში ისწავლის და იმეცადინებს.

სკოლის ახალი რეფორმა მოქმედებაშია.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

## ლია ჭავჭავაძე

### ლექსო ანათე, ანათე

შეცისფრდნენ მთათა უბენი,
ძილი სწყურიათ, ძილი,
შეფრთხიალდება ღრუბელი,
აბრეშუმივით ლბილი.
არ ეძინება, მიტირის,
მისი ვედრება მესმის,
ამოფრინდება ჩიტივით,
ჩემი სულიდან ლექსი.
შებინდულ ცაზე ბრწყინდება,
თავის გრძნეული ფრთებით,
მზის სხივი არის, მზის სხივი,
ამომავალი მთებით.
ლექსო ანათე, ანათე,
გალობითა და კვნესით,
მანდ, ზეცაშია, სანათავ,
შენი უკვდავი ფესვი.

### აბუტალიბმა მითხრა

ხმაი სისინის ოდეს ჩაგესმას
იცოდე, შვილო,
იგი არაა ხმა ერისა,
არცა ხმა ღვთისა,
ხმაი სისინის ოდეს ჩაგესმას
იცოდე, იგი ხმა არის მტრისა...

### ვიგონებ გალაკტიონს

სხივებს უხდებათ მჩუმარე კდემა
და თვლემს ვენახი მაღალ ახოზე,
გადაიქროლებს ცისფერი რემა
ლურჯა ცხენების საბალახოზე.
— საით, ო, საით, რომელ გზისაკენ,
რა მიგაქროლებთ, ლხენა თუ წყენა,
— ღრუბლებისაკენ, ღრუბლებისაკენ,
ღრუბლებისაკენ მივფრინავთ ჩვენა
და ფრთოსან რაშებს ელვარე ცაში
ტაოს ყვავილთა მიჰყვება წყება...

### წვიმა მთაწმინდაზე

ჩამოდის წვიმა, ჩამოდის წვიმა,
ღიაა, ღია ზეცის კარები,
სალამო არის და ჩუმ მიწაზე,
ჩამოცვენილი ეს ვარსკვლავები.
შენ, საკვირველო, წარმტაცო ზვარო.
შემოღობილო საყვარელ მთებით,
ჩვენო ვენახო, ჩვენო სიზმარო,
როდის დაისხი ეს ვარსკვლავები.
ღრმა შემოდგომის აქ ქარვა ბრწყინავს,
მძიმედ ეშვება ეს წვიმა, მძიმედ,
ჩამოდის წვიმა, ჩამოდის წვიმა
და სძინავთ ღვთიურ სანათებს, სძინავთ.
იმშუშნებიან, ხეთა რტოებში
მძინებულთა გაისმის ზარი,
ალბათ ამ ღვთიურ სიმარტოვეში
მოისაკლისეს დანი და ძმანი.
ო, უეცარი შემძრავს ის ზარი,
ალხავსე ჩუმი გოდებით, გრძნებით,
ჩამოფარფატდი ნაზო სიზმარო
და მომაშველე მსუბუქი ფრთები.
სალამო ლურჯი და უსამანო,
მიიწევს ცისკენ ფარული კიბით,
წვიმს და ბრწყინდება ჩუმი სალამო,

ვინ იცის, თუ რა წვიმაა იგი.
მიწა, მთაწმინდა, ვარსკვლავთა ბრწყინვა,
ზეცა, მთაწმინდა, წყნარი სალამო,
ფანტასტიური ჩამოდის წვიმა,
ვით საიდუმლო დაუსაბამო.

### საყვედური

ქალი, რომელმაც ძუძუ მაწოვა,
გათეთრებული ზის აივანზე,
ქალი, რომელმაც ძუძუ მაწოვა,
დასუსტებული ზის აივანზე.
მე მას ვუჩვენებ აპრილის დილებს,
თიბათვის მთვარეს, ჩარჩენილს სულში,
ხელების თრთოლვით ვუწყობ კალთაში
უკვდავასა და დაფნის ყვავილებს.
— შენი ყვავილი? შენი ყვავილი?
მომლოდინე თვალებით მიმზერს
და მეკითხება, სულ მეკითხება
ქალი, რომელმაც ძუძუ მაწოვა.
ვერ გაგახარე,
ვერ ჩავიხუტე გულში ნაზი ყვავილი,
შვილს რომ ეძახიან, დედა.
ქალი, რომელმაც ძუძუ მაწოვა,
დაღონებული ზის აივანზე.





# რვა პრეტენდენტი

სპორტი. სპორტი

მსოფლიოს ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ თავისი წოდება უკანასკნელად 1984 წლის შემოდგომაზე დაიცვა. ამან მაიას უკვე მესამე ოქროს მედალი მოუტანა. როცა უძლიერეს მოჭადრაკე ქალს ვაჟთა დიდოსტატის წოდებაც მიენიჭა და ეს ჩინებული სპორტული სეზონი „ოსკარის" მიღებით დაგვირგვინდა, თითქოს დასვენების დრო დადგა. მაგრამ ფიდე მსოფლიოს პირველობის გათამაშების ორწლიან ციკლზე გადავიდა და ამიერიდან არც ვაჟებს ასვენებს, არც ქალებს. გავა ცოტა ხანიც და 1986 წლის შემოდგომაზე გაიმართება მორიგი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ქალთა შორის.

თუ 1985 წლის დასაწყისისათვის მაიასთან შეხვედრის სურვილი ბევრს ჰქონდა, შემდეგ ბევრის ამბიციას ხაზი გადაესვა — ისინი ჯერ ზონალურმა, შემდეგ კი საზონათშორისო ტურნირებმა „გაცხრილეს". დღეისათვის რჩება რვა პრეტენდენტი, რომლებიც ორწრიან შეჯიბრებაში შეხვდებიან ერთმანეთს. რომელ მათგანს გაუღიმებს ბედი?

**ნანა ალექსანდრია.** ის, რომ ალექსანდრია უკვე თითქმის 20 წლის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა შორის არის, თავისთავად მოწმობს ამ დიდად ნიჭიერი მოჭადრაკის ძალას. თქმა არ უნდა, ნანა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერუდირებული დიდოსტატია მსოფლიოში, აქვს შესანიშნავად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი. ბევრს ნიშნავს თბილისელის გამოცდილებაც: იგი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონია, გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში. წლების განმავლობაში ალექსანდრიას სტილმა გარკვეული ევოლუცია განიცადა. იყო დრო, როცა ქართველი მოჭადრაკე მთავარ იმედს იერიშზე ამყარებდა, რომელსაც მართლაც ლამაზად ატარებდა. ახლა, თუ დასჭირდა, ალექსანდრია ისევ ელეგანტურად უტევს, მაგრამ არც მარტივ პოზიციებს ერიდება, და აქაც მაღალ ტექნიკას ავლენს.

1985 წლის სეზონი ნანამ მართლაც რომ ბრწყინვალედ წარმართა. მან ბაქოში გამართულ ვაჟთა შეჯიბრებაში ოსტატობის ნორმა შეასრულა, რაც ქალებისათვის იშვიათ მიღწევად ითვლება. ვოლგოგრადში გამართულ საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში ალექსანდრიამ მეტოქეებს, რომ იტყვიან, პირდაპირ მუსრი გაავლო, სხვათაშორის, სძლია თავის ძველ მეტოქეს ირინე ლევიტინას, რომელთანაც ადრე დიდი მატჩიც მოიგო და შემდეგ ასეთივე ასპარეზობაში დამარცხდა კიდეც. კუბაში გამართულ საზონათშორისო ტურნირში ნანა ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე იყო და პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზური სრულიად იოლად მოიპოვა. ერთი სიტყვით, ალექსანდრია ყველგან წარმატებით თამაშობს, სტაბილურობა კი საჭადრაკო კლასის უპირველესი განმსაზღვრელი გახლავთ.

უკვე მრავალი წელია, რაც ნანა ალექსანდრია მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველ ხუთეულში, ზოგჯერ კი პირველ სამეულში არის. მან მსოფლიოს პირველობაზე უკვე ორი მატჩი ითამაშა. შეიძლება თუ არა მან გაისად მესამე მატჩიც ითამაშოს? ვფიქრობთ, ნანა ალექსანდრიას ამის კარგი შესაძლებლობა აქვს.

**ელენე ახმილოვსკაია.** წლების განმავლობაში ახმილოვსკაია რუსეთის ფედერაციის №1 მოჭადრაკე იყო, შემდეგ თბილისელ ოსტატობის კანდიდატს — ვლადიმერ პეტუხოვს მითხოვდა და ბიჭვინთაში დასახლდა. იშვიათია მასზე უფრო მშვიდი და აუღელვებელი მოჭადრაკე. როცა საჭადრაკო ქარტეხილებს უმრავლესობა წონასწორობიდან გამოჰყავს, ახმილოვსკაია, ვითომც აქ არაფერია, მოთმინებით განაგრძობს ბრძოლას. ახმილოვსკაიას ახალი წარმატება კუბის საზონათშორისო ტურნირში იმას მოასწავებს, რომ იგი იზრდება როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მას შეუძლია პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამარჯვება, მაგრამ ის კი გვჯერა, რომ ბიჭვინთელი მოჭადრაკე კარგ შედეგს მიაღწევს და დაამტკიცებს, რომ შემთხვევით როდი აქვს ესოდენ მაღალი სპორტული პრესტიჟი.

**ირინე ლევიტინა.** 1975 წელს ლევიტინამ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ითამაშა, 1984 წელს მიაღწია თავისი სპორტული წარმატებების მწვერვალს — ითამაშა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონთან. თქმა არ უნდა, ლენინგრადელმა შეინარჩუნა თავისი მაღალი კლასი. ამაზე თუნდაც მისი წლევანდელი სატურნირო გამოსვლები მეტყველებს. გარკვეული თვალსაზრისით ლევიტინამ დაიზოგა კიდეც თავისი ნერვული სისტემა — იგი, როგორც მაია ჩიბურდანიძის ყოფილი მეტოქე, განთავისუფლებული იყო ყოველგვარი შესარჩევი შეჯიბრებისაგან — პირდაპირ პრეტენდენტთა ტურნირში მიიწვიეს. რას შეიძლება მოველოდეთ ლენინგრადელისაგან ამ შეჯიბრებაში? ეჭვგარეშეა, იგი ძალით აღემატება რამდენიმე მონაწილეს. მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ლევიტინა გაიმეორებს 1984 წლის წარმატებას, ძალზე ძნელია. ჩვენ პირადად იგი მთავარ ფავორიტად მაინც არ მიგვაჩნია — ასეთი ნანა ალექსანდრია უნდა იყოს.

**ლიდია სემიონოვა.** კიეველი დიდოსტატი რომ უკიდურესი შეუპოვრობით და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა, ეს ადრეც ვიცოდით. პრეტენდენტთა ასპარეზობის წინა ციკლში მან გასაოცარ წარმატებას მიაღწია — ფინალურ მატჩში ითამაშა და ლევიტინას ცოტათი დაუთმო. უკანასკნელ წლებში ამაღლდა კიეველის საჭადრაკო კულტურა, გაფართოვდა მისი სადებიუტო რეპერტუარი, დაიხვეწა ტექნიკა. სემიონოვა იშვიათად აგებს — იგი პრეტენდენტთა ტურნირში ყველასათვის სახიფათო მეტოქე იქნება.

**მარტა ლიტინსკაია.** უკანასკნელი სეზონი ლვოველისთვის ფრიად იღბლიანად წარიმართა. ჯერ იყო და მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა, რამდენიმე თვის შემდეგ კი ლიტინსკაიამ კვლავ პირველი ადგილი დაიკავა — ამჯერად უკვე საზონათშორისო ტურნირში. მის წარმატებებს, ცხადია, იზიარებს ცნობილი მწვრთნელი ვიქტორ კარტი, რომელიც ახლანდელ პრეტენდენტს ბავშვობიდანვე ავარჯიშებს. ხომ გახსოვთ ლიტინსკაიას ადრინდელი გვარი — შულე! თქმა არ უნდა, თეორიის კარგი მცოდნე და საკმარისად შეუპოვარი ლიტინსკაია პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის საინტერესო მონაწილე იქნება.

**ვუ მინგ კვიენი.** პრეტენდენტთა ასპარეზობის ადრინდელ ციკლში მონაწილეობდა ჩინელი დიდოსტატი ლიუ შილანი. ახლა იგი ჟელეზნოვოდსკში კიდევ ერთ ჩინელთან — ვუ მინგ კვენთან ერთად ჩამოვიდა. თუ ვინმესგან ელოდნენ ექსპერტები წარმატებას, ეს ისევ ლიუ შილანი იყო. ნურას უკაცრავად, ლიუ შილანმა [illegible], ვუ კი. მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. მან თვით ნონა გაფრინდაშვილი და ნინო გურიელი ჩამოიტოვა. ჭადრაკში ზოგჯერ შემთხვევითობის ელემენტი მოქმედებს. ეს იყო ჟელეზნოვოდსკში? სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ნურც ვუს დავუკარგავთ მის ღირსებებს, იგი ძალზე შეუპოვარია და „უკანასკნელ პაიკამდე" თამაშობს.

**აგნეშკა ბრუსტმანი.** იგი ახლა პოლონეთის № 1 მოჭადრაკედ ითვლება. ისევე, როგორც ვუმ, როგორც კი პრეტენდენტი გახდა, ავტომატურად მიიღო დიდოსტატის წოდება. ჟელეზნოვოდსკში ბრუსტმანი ფრიად ენერგიულად თამაშობდა, არაერთი უძლიერესი მოჭადრაკე ჩამოიტოვა. შემდეგ ლუდმილა ზაიცევასთან დამატებით მატჩში უპირატესობა მოიპოვა. პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა ახალგაზრდა პოლონელისათვის უკვე დიდი პატივია. რას შეიძლება ველოდოთ მისგან? აგნეშკა „კერკეტი კაკალი" იქნება, იოლად ქულებს არავის დაუთმობს.

**პია კრამლინგი.** შვედი პრეტენდენტის სახელი კარგა ხანია ცნობილი იყო. აი, მერვეს გამოვლენას დამატებითი ოთხწლიანი შეჯიბრების გამართვა დასჭირდა, მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი დიდოსტატი ნანა იოსელიანი, შვედი პია კრამლინგი და რუმინელი დანა ნუცუ. ეს დამატებითი შეჯიბრება კრამლინგის გამარჯვებით დამთავრდა. კრამლინგი პრეტენდენთა მატჩ-ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იქნება. ცნობილია, შვედის დიდი პრაქტიკული ძალა, ის დიდი გამოცდილება, რომელიც მან ძირითადად ვაჟთა შეჯიბრებებში მიიღო. ახლა პირველი შემთხვევაა, როცა პია ქალთა საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლას აპირებს. როგორია მისი შესაძლებლობები? თუ კრამლინგს სხვა პრეტენდენტებს შევადარებთ, შეიძლება გამოვთქვათ აზრი, რომ იგი ნანა ალექსანდრიას ძირითადი მეტოქე იქნება პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

ბივი ბამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ წერდა ძია შიო



ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მოჭირნახული, ბავშვების საყვარელი მწერალი ძია შიო თავის სიცოცხლეშივე ნაკურთხი და გვირგვინდადებული დაგვიტოვა დიდმა ილიამ.

და განა მარტო ილიას უყვარდა ეს უანგარო, მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკობილი მწერალი! მას მუდამ გარს ეხვივნენ: მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები. ვის არ ნახავდით მის გვერდით! ყველას უყვარდა მუდამ სახემომღიმარი პოეტის დარბაისლური საუბარი და მასთან შეხვედრა. ვაჟა-ფშაველა, ნიკო რაზიკაშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, ირ. ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, ილია აღლაძე, სანდრო შანშიაშვილი, ივანე ბუქურაული... ეს განუყრელი მეგობრები მუდამ ერთად იყვნენ. მათი თავშეყრის ადგილი ხან მტკვრის სიოთი გაგრილებული ორთაჭალის ბაღი იყო, ხან „ქოსების დუქანი", (ახლანდელ ლენინის მოედანზე), ხანაც გიორგი ტურაშვილის სასაუზმე — განთქმული ახალი ცოცხალი თევზითა და სათალით. აქ იმართებოდა სასიამოვნო, მეგობრული ბაასი, ისმოდა ლექსი, ზმა და შაირი. გიორგი ტურაშვილის სასაუზმის ხშირი სტუმარი იყო ხოლმე შიო მღვიმელიც, მაგრამ მარტო სიარული არ უყვარდა, უთუოდ ვინმეს გაიყოლებდა...

ერთხელ შიო მღვიმელი თუშ პოეტ ივანე ბუქურაულთან ერთად ესტუმრა ტურაშვილს. მასპინძელი ჯარასავით დატრიალდა, სუფრა თავის პატარა ოთახში გაუშალა, ხელი გადაიბანა და ისე შეუძღვა სტუმრებს.

— აქა მშვიდობაო, — სთქვა ჩვეულებისამებრ შიომ.

გიორგიმ ახალ-ახალი ცოცხალი თევზი შემოიტანა, თან ორი ბოთლი წითელი ღვინოც მოაყოლა. — ნაყიდი არ გეგონოთ, ცოლეულის მამულისააო, დასძინა და კარები მოუხურა, პოეტები არიან, ისხდნენ, თავისთვის ისაუბრონო.

მეგობრები ცოტა დაღლილობას გრძნობდნენ, ვერიდან ორთაჭალაში ფეხით იყვნენ მოსული, ამიტომ დინჯად, სვენებ-სვენებით შეექცნენ სასიამოვნო საუზმეს.

— უჰ, ფისოები! — წამოიძახა უცებ შიომ, როცა კარებში შემოპარული კნუტებიანი კატა დაინახა. ისინიც პირდაპირ შიოსკენ გამოემართნენ და მის ფეხებთან მოიკალათეს სუფრის ქვეშ.

შიო მისწვდა ერთ პატარა კნუტს, ხელში აიყვანა და მიუალერსა. — „ფისო! ფისო! თევზის პარია ფისო," ღიმილით ეუბნებოდა შიო და თევზით უმასპინძლდებოდა.

ზის დედა კატა მილულული თვალებით, შვილების სიყვარულით დამტკბარი. კნუტები დედის გარშემო დახტიან, გარბიან და გამორბიან. შიოც იცინის და თვალს ვერ აშორებს კნუტებს. ახლა კი, ველარ მოითმინა გიორგი ბუქურაულმა:

კაცო, ამისთვის წამომიყვანეო, აბა, რა გემო უნდა ჩაატანო მაგ კატების ყურებაშიო, ე, როგორ გყვარებია კატებიო!!!

— ძალიან — უპასუხა შიომ — აბა, უყური, განა საყვარლები არ არიან?

მართლაც ძალიან უყვარდა ძია შიოს ცხოველები და ფრინველები. ხარობდა, როცა ყოველ გაზაფხულზე მის აივანზე იკეთებდნენ ბუდეს მერცხლები. ბეღურებსაც საკუთარი ხელით უყრიდა პურის ნამცეცებს.

— გიორგი! ერთ კატას ვერ მაჩუქებ, ბიჭო? უთხრა წასვლისას შიომ მასპინძელს.

— მიირთვი, შენი ჭირიმე, რომელიც მოგეწონება, მაგაზე როგორ გაწყენინებ! — თავაზიანად მიუგო გულთბილმა მასპინძელმა.

შიომ აიყვანა ერთი ლამაზი კატუნა და ბუქურაულს უბეში ჩაუსვა. ასე მივიდნენ სახლამდე. აივანზე შიოს მისი გოგონები და სხვა ბავშვებიც გამოეგებნენ. შიომ თვალით ანიშნა ივანეს — ფისოს უბიდან თავი გამოაყოფინეო. დაინახეს თუ არა ბავშვებმა ფისო, ასტეხეს ჟივილ-ხივილი: — მე მომე, თუშო!, უი, რა ლამაზია! რა კარგია! მე მომეცი, ძია რა, არა მე და არა მეო... ასტყდა ჟრიამული.

კნუტი შიომ მაგიდაზე დასვა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ. ყველას უნდოდა ხელი გადაესვა, მოალერსებოდა. ბავშვები კი არ ცხრებოდნენ: არა ჩემია, არა ჩემიო. იდგა ერთი ალიაქოთი. შიო მღვიმელი და მისი მეუღლე ანეტა სიყვარულით შესცქეროდნენ შვილებს, რომელნიც კნუტის ხელში ასაყვანად ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამასობაში ფისომ დრო იხელთა და სადღაც გაძვრა, მიიმალა.

სახტად დარჩენილი ბავშვები აღრიალდნენ. შიო დაიბნა, არ იცოდა რით გაეჩერებინა თავისი პატარა აზლუქუნებული ქალიშვილები თამარ, ნინო და ქეთინო. ბოლოს ისევ დედამ დაამშვიდა, ყველა ერთად ჩაიკრა გულში, ყველას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: — ჩუმად, რად სტირით ბავშვებო? ფისო თავის დედასთან წავიდა, დედის ალერსი მოენატრა, გაძღება დედის რძეს დანატრებული და ისევ თქვენთან მოვაო.

ბავშვები უცებ დაჩუმდნენ. ყველამ წარმოიდგინა, როგორ ეალერსებოდა დედა კატა თავის დაკარგულ კნუტს.

აი, ეს პატარა ეპიზოდი დაედო საფუძვლად შიო მღვიმელის მშვენიერ ლექსს „კნუტი და ბავშვები", რომელსაც დღეს ვთავაზობთ ძია შიოს ლექსების მოყვარულ ყველა პატარას:

„გიორგიმ კნუტი მაჩუქა,
თუშმა მომგვარა უბითა,
ტასიკო, თამრო და ნინო
ერთმანეთს შეხვდნენ ჩხუბითა.
ტასო ამბობდა: ჩემია,
თამრო ჭლინკებზე დგებოდა.
ნინიკო კი სხვას იძახდა,
დებივით არა წყრებოდა:
— ეს ჩვენი საქმე ქალებო,
მოდი, მივანდოთ ღვთისოსა,
იმანა ჰკითხოს ჩვენ სამშა,
ვინ უფრო უნდა ფისოსა.
თუ არა, იყოს რიგ-რიგით,
დღეს ჩვენთან, ხვალე შენთანა,
ზეგ ტასიკოსთან და მაზეგ
ხელ-ახლავ ისევ ჩემთანა.
მათ თათბირშია, დედასთან
გაპარულიყო ფისუნა,
სამივეს ტირილს ერთოდა
ალერსიანი „სუ" „სუა".
გენაცვლოს დედა, ნუ სტირით
მაგრე მაღალის ხმითაო,
ფისო დედასთან წავიდა
რომ გაიჭიკნოს რძითაო.
დღეს იმან ჩვენი სახლ-კარის
გზა-კვალი დაისწავლაო,
გაძღება დედის ალერსით
და ისევ მოვა ხვალაო".

თინათინ კუკავაძე,

შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა პატარა ტირის



ნელა ჩერდება ბავშვებით დახუნძლული კარუსელი. გული სწყდებათ პატარებს, რომ დასრულდა მხიარული ბზრიალტრიალი... ოთხიოდე წლის ბიჭუნა დედას ეძახის: „დედიკო! დრო გვაქვს, კიდევ რომ ვიტრიალოთ?!“ დედა შორიდან უღიმის და უარის ნიშნად ხელს უქნევს.... ბიჭი ჩამოდის, დედასთან გარბის და ორივენი ხელიხელჩაკიდებულნი, ერთმანეთით კმაყოფილი მიდიან...

იმავე კარუსელთან ბიჭის თანატოლი გოგონა დედას დაჟინებით სთხოვს ერთხელაც დამსვი კარუსელზეო, მაგრამ დედა უარს ეუბნება. გოგონა გაბმულად ტირის.

პარკის გასასვლელთან პატარა ბიჭი უძალიანდება და უკან ექაჩება მამას, არ სურს პარკიდან წასვლა. მამას ბიჭი ხელში აჰყავს და ატირებული მიჰყავს.

პატარა გოგონამ ნაყინი მოითხოვა. მამა ის იყო გაემართა გოგონას სურვილის შესასრულებლად, მაგრამ დედამ შეაჩერა: „არ უყიდო, ბავშვს ანგინა დაემართება!“ გოგონა მწარედ ატირდა. მამამ დაუყოვნებლივ მოუტანა ნაყინი...

ბაღის ერთ კუთხეში გრძელ მერხზე ჩამომჯდარ ბებიასთან გოგონამ მიირბინა და ფეხსაცმელზე შეხსნილი ზონარი აჩვენა. ბებია ჩაცუცქდა გოგონას წინ და ზონარი სწრაფად შეუბნია. გოგონა ისევ ტოლებთან გაიქცა სათამაშოდ. ცოტა ხნის შემდეგ ატირებული მობრუნდა ბებიასთან. რატომ ტიროდა? — ტოლებმა სახტუნაო არ დაუთმეს — „შენს ჯერს დაელოდეო“. მას კი უნდოდა, რომ სულ მისი ჯერი ყოფილიყო...

აი, ბუთხუზა ბიჭუნას ორივე ხელი შემოუხვევია დიდი ჭრელი ბურთისათვის და ზურგს აქცევს თანატოლს. ის კი ეხვეწება ერთად ვითამაშოთო. ბუთხუზას ვერც თვითონ მოუხერხებია თამაში იმის შიშით, ვაი თუ იმ ბიჭმა ბურთი წამართვასო. თანატოლმა დასცინა, „ხარბი“ და „ბურთის უნახავი“ უწოდა. ეწყინა ბუთხუზას, ატირებული მივიდა დედასთან. დედამ დაამშვიდა: „ნუ ტირი, ვინ გაწყენინა? დამაცადოს! მე აქა ვარ, ბურთს ვერავინ წაგართმევს“...

ასეთი ან მსგავსი სურათები ალბათ ბევრისთვის ნაცნობია... ჩვენს მიერ აღწერილ ეპიზოდებში, ერთი შეხედვით, არაფერია განსაკუთრებული. ყოველ მათგანში სხვადასხვა სახით ჩანს, თუ როგორ „ზრუნავენ“ უფროსები პატარებისათვის, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, იმასაც შევამჩნევთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი ზრუნვა ბავშვის სწორად აღზრდის პრინციპებს ღალატობს.

განვიხილოთ ყოველი ეპიზოდი და შევეცადოთ ვიპოვოთ უფროსების მიერ ბავშვის აღზრდაში, მასთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომები და ის შედეგები, რაც ამ შეცდომებს მოსდევს.

კარუსელის ეპიზოდში ბიჭმაც და გოგონამაც დედებისაგან უარი მიიღეს თხოვნაზე. ბიჭი მშვიდად შეხვდა უარს, გოგონა კი ატირდა... რა თქმა უნდა, აქ არაფერ შუაშია ბავშვების სქესი, შეიძლებოდა პირიქითაც ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ 2–4 წლამდე ასაკის ბავშვისათვის ბუნებრივია სიჯიუტე, ეგოცენტრულობა, იმპულსურობა, ამ ასაკის ბავშვისათვის ადვილი არ არის საკუთარი სურვილების დათმობა... ყველა ეს თვისება მისთვის საჭიროა. შემდგომში ამ თვისებებიდან ყალიბდება მიზანსწრაფულობა, დამოუკიდებლობა და სხვა დადებითი თვისებები. უფროსებს კი აღიზიანებს ბავშვის სიჯიუტე და ჭირვეულობა, ცდილობენ მორჩილი და გამგონე გახადონ იგი. მშობელს ორი გზით შეუძლია მიაღწიოს ბავშვის მორჩილებას: პირველი და გამართლებული გზა ბავშვის პიროვნების პატივისცემაა, მისი ინტერესების, მოტივაციის, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, მასთან ურთიერთობაში მოთმინების, მომთხოვნელობის, გულისხმიერებისა და ალერსის ზომიერი შეხამება. ასეთ შემთხვევაში ბავშვს აქვს მშობლისადმი რწმენა და მისი სჯერა.

მეორე გზა უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს, თუმცა შედეგი გარეგნულად იგივეა — ბავშვს იმორჩილებს უფროსი. ამ მორჩილებას მშობელი აღწევს ბავშვის პიროვნების დათრგუნვით, იძულებით. ეს მორჩილება შიშზეა დაფუძნებული და ბავშვობის გარკვეულ ასაკობრივ პერიოდში მოქმედებს, შემდეგ კი მოზარდობის ხანაში. პროტესტის გამომხატველ ურჩობაში გადაიზრდება ხოლმე და მშობლის ავტორიტეტი მკვეთრად ეცემა სწორედ მაშინ, როდესაც იგი ყველაზე მეტად არის საჭირო.

ეპიზოდში დედისადმი ბიჭუნას მიმართვიდან ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს პირველ გზასთან –– ურთიერთგაგებაზე დაფუძნებულ დამოკიდებულებასთან მოზრდილსა და ბავშვს შორის. ბიჭუნა ცდილობს საკუთარი და დედის ინტერესების შეხამებას. იგი დარწმუნებულია, რომ დედა აუცილებლად გაუწევს მას ანგარიშს, ამის საშუალება რომ ჰქონდეს. ბავშვი თავსმოხვეულ ბრძანებას კი არ ემორჩილება, არამედ, უფროსთან წინასწარი შეთანხმებით, თვითონ იჩენს ინიციატივას მისადმი თანაგრძნობის გამოხატვაში.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა დედა გოგონას კატეგორიულ უარს ეუბნება თხოვნაზე. ეს უარი ბავშვის თვალში არაფრით გამართლებული არ არის და უსამართლობად აღიქმება. ბავშვი ტირის იმის გამო, რომ მშობელმა მისი უფლებები შეზღუდა, არაფრად ჩააგდო. მშობელს კი თავის მხრივ არ უზრუნია ბავშვისათვის თავისი სურვილების დაძლევა ესწავლებინა, შესაძლოა ამ მოსაზრებითაც: „გაიზრდება და მერე ისწავლისო“.

ეს ტიპიური შეცდომაა, რომელიც ხშირად მოსდით მშობლებს სხვა სიტუაციებშიაც. ამ შეცდომის წყალობით ბევრი უარყოფითი ჩვევა ადრეულ ასაკშივე ბავშვს ხასიათის ნაკლად უყალიბდება ხოლმე, შემდგომში კი მისი გამოსწორება ძნელდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშობელთა ნაწილი აღწევს ბავშვის დამორჩილებას იძულებით. ბიჭუნას არ სურდა პარკიდან წასვლა, მამამ ხელში აყვანილი, ძალით წაიყვანა. ამ ეპიზოდში უფროსი ბავშვს თავს ახვევს საკუთარ სურვილს და ანგარიშს არ უწევს ბავშვის ინტერესებს, განწყობას, არ ცდილობს ისეთი გზა მოძებნოს, რომელიც ბავშვისთვის მისაღებს გახდის მამის ნებას. მამას შეეძლო ბავშვის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა (2–4 წლის ასაკის ბავშვებისათვის ეს საკმაოდ ადვილია), ან მშვიდი და მტკიცე ტონით განემარტა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა. ბავშვის პიროვნებისადმი დაუდევრობა, მისი ასაკის თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა ხელს უშლის მამას კონფლიქტის გადაჭრაში.

მსგავსი კონფლიქტების ხშირი განმეორება კი ბავშვებში იწვევს ნევროზებს, რომელიც სპეციალურ მკურნალობას საჭიროებს.

არანაკლებ საშიშია ბავშვის ნერვული სისტემისათვის აღზრდის ისეთი შეცდომები, როგორიცაა ბავშვებისადმი მშობელთა ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნები, მათი შეუთანხმებელი მოქმედება, როგორც ეს ნაყინის ყიდვის ეპიზოდშია აღწერილი. ასეთი სიტუაციების ხშირ განმეორებას მარტო ნევროზები კი არ მოსდევს, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათზეც: უყალიბებს მერყეობას, ეჭვიანობას, უნ-



საქ. სსრ კ. მარქსის

დობლობას, უკარგავს უფროსებისადმი რწმენას და პატივისცემას.

აღზრდის შეცდომა, რომელიც ბებიაშვილიშვილის ეპიზოდშია აღწერილი, ბავშვისათვის გადაჭარბებული ზრუნვა და მეურვეობა სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული და არანაკლებ საშიშია.

4-5 წლის ბავშვს უნდა შეეძლოს თვითმომსახურების მარტივი ოპერაციების შესრულება: ხელ-პირის დაბანა, თავის ხელით ჭამა, ჩაცმა-გახდა, თავისი საწოლის გასწორება, სათამაშოების მილაგება და სხვა. ეს იოლი საქმიანობა ბავშვს მრავალ სიკეთესთან ერთად შრომისმოყვარეობასაც აჩვევს. ხშირად კი უფროსები ცდილობენ ყველაფერი თვითონ გაუკეთონ ბავშვს, მოარიდონ იგი ყოველგვარ საზრუნავს და ეს ბავშვისადმი სიკეთის გამოხატულებად მიაჩნიათ (ასე იქცევა ბებია ჩვენს ეპიზოდში). ასეთ „სიკეთეს" შეუძლია ბავშვი ეგოისტ პიროვნებად ჩამოაყალიბოს. სწორედ ეგოიზმის გამო ვერ ეგუება შვილიშვილი თანატოლთა მოთხოვნას და მათგან უარყოფილი, ბებიასთან ტირილით ბრუნდება.

მსგავსად ბებიისა, ვერც ბუთხუზას დედა ამჩნევს თავის შეცდომას, როცა შვილს არ ასწავლის თანატოლებთან ურთიერთობას, ვერ ამჩნევს იმას, რომ ნივთები, ამ შემთხვევაში, დიდი ჭრელი ბურთი, მას სიამოვნებას ვერ მიანიჭებს, თუ უამხანაგოდ დარჩება.

კარგია, უფროსებს სასეირნოდ რომ დაჰყავთ ბავშვები. უკეთესია, თუ სეირნობის დროს უყურადღებოდ არ დატოვებენ ჩვენ მიერ აღწერილ „წვრილმანებს", რადგან აღზრდაში არ არსებობს წვრილმანები. ბავშვს ყველაფერი ზრდის, რაც მის გარშემოა: ადამიანები, საგნები, მოვლენები, დავეხმაროთ ბავშვს გახდეს კარგი ადამიანი (მას ამისთვის საკმაო მონაცემები მოეპოვება), ვასწავლოთ ურთიერთობა ტოლებთან, თავისზე უფროსებთან და უმცროსებთან, რათა კარგად მოვამზადოთ ადამიანთა საზოგადოებაში მომავალი ცხოვრებისათვის.

**ლეილა სოსელია,**
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

## სამამულო ომის ექო



# ჰოსპიტლის უფროსი ექთანი

1941 წლის ივნისის დამლევს, ოცი წლის თამარ რეხვიაშვილი ახლობლებმა და ნაცნობმეგობრებმა სოჭის რკინიგზის სადგურიდან ფრონტზე გააცილეს. იგი არმავირის ჰოსპიტალში უფროს ექთნად გაამწესეს, მალე კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს, პირველი საბრძოლო ნათლობაც აქვე მიიღო.

— ვის ეცალა მაშინ დასასვენებლად! ერთ ღამეს დაძინების უფლება მოგვცეს, — იგონებდა თამარი, — და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დღე და ღამე ვიბრძოდით და ვშრომობდით, ძილი და მოსვენება ჩვენთვის სანატრელი იყო.

ერთ დღეს გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ცა დააბნელა, ქალაქს უბედურება ელოდა. დაიწყო დაბომბვა. გულშემზარავი და გამაყრუებელი ზმუილით ეშვებოდა დაბლა სიკვდილის მთესველი ბომბები. სწორედ ამ დროს ჰოსპიტალში დაჭრილ მებრძოლთა საშველად ოცდაცამეტი კაცისაგან შემდგარი სანიტარული რაზმი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელობა თამარს დაევალა. თამარი საკუთარი სიცოცხლის დიდი რისკით პატრონობდა დაჭრილ მებრძოლებს, დალუპვისაგან იფარავდა, სამშვიდობოზე გაჰყავდა. ცეცხლმოდებული და დანგრეული შენობებიდან დასაღუპავად განწირული უმწეო მოხუცები, ქალები და ბავშვები გამოჰყავდა და პირველ დახმარებას უწევდა. ამდენ ორომტრიალში თვითონაც ვერ ასცდა განსაცდელს, მარჯვენა ხელში დაიჭრა და საერთო კონტუზია მიიღო.

თამარს თავისსავე ჰოსპიტალში მკურნალობდნენ, მან გასამხნევებლად მოხუც დედას საქართველოში წერილი გაუგზავნა. თავისი ბრძოლებისა და დაჭრის ამბავს ატყობინებდა, თან გულს უმაგრებდა, წერდა, ნუ გეშინია, ჭრილობები მალე მომიშუშდება, მტერსაც მალე დავამარცხებთ და გამარჯვებული დაგიბრუნდებიო.

სისხლისმღვრელი და დიდი ომი იყო, ცა და დედამიწა იწვოდა. რა დროს სადმე წასვლა-წამოსვლა იყო, მაგრამ დედის გულს ადგილზე რა გააჩერებდა! როცა თამარის დაჭრის ამბავი შეიტყო, ფრონტისაკენ გზას გაუდგა. ძალიან გაუჭირდა მოხუცს ქარცეცხლიანი გზებით მგზავრობა, მაგრამ როგორც იყო არმავირამდე ჩააღწია.

დაჭრილი თამარი დიდად გაახარა დედის ჩამოსვლამ. ამხანაგებსა და დაჭრილ მებრძოლებს ხილითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა. მალე გამოჯანმრთელდა და ისევ დაჭრილთა მოვლა-პატრონობას შეუდგა. გერმანელებმა ახალი ძალით დაიწყეს შეტევა და არმავირს მოადგნენ. დაიწყო ჰოსპიტლებიდან დაჭრილი მებრძოლების ევაკუაცია. ამ მეტად რთული და მძიმე საქმის ორგანიზაცია ჰოსპიტლის კომისარს და თამარს დაევალათ. ისინი თავგანწირულად და სწრაფად მოქმედებდნენ, სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგან ფაშისტების შემოჭრა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მტერს არცერთი დაჭრილი საბჭოთა მებრძოლი არ უნდა ჩავარდნოდა. წითელი არმიის ნაწილებმა მოძალადეებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ისინი ქალაქის ზღურბლთან შეაჩერეს. ამასობაში დაჭრილების, ჰოსპიტლის პერსონალისა და ქონების სამშვიდობო ადგილზე ევაკუაციაც მოასწრეს. მტრისგან თავდაღწეული ეშელონი ჩვენი ქვეყნის ღრმა ზურგისაკენ მიჰქროდა, მაგრამ თვითმფრინავების დაბომბვას მაინც ვერ გადაურჩნენ. ერთერთი ასეთი დაბომბვის დროს კურსოვკაში, „მინვოდის" ახლოს თამარი მარცხენა ფეხში მძიმედ დაიჭრა. ამჯერად კი ნამდვილად ველარ შევძლებ ჩემს მებრძოლ ამხანაგებს გვერდში ამოვუდგეო,— გაიფიქრა და დიდი სინანული იგრძნო.

ბაქოს გავლით უზბეკეთის რესპუბლიკაში მოხვდა და კვლავ უფროს ექთნად განაგრძო მუშაობა. როცა ჰოსპიტალი ისევ ფრონტზე წავიდა, თამარი, როგორც მრავალჯერ დაჭრილი, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ჩათვალეს და ჰოსპიტალს აღარ გააყოლეს. ის ადგილზე დარჩა. ჯერ წითელი ჯვრის კავშირის გამგედ იმუშავა, შემდეგ კი უზბეკეთის სანიტარულ ნაწილში ჩარიცხეს. მისი მთავარი საქმიანობა ფრონტზე მიმავალი ეშელონების გაცილება და მებრძოლთა სამედიცინო მომსახურება იყო.

1948 წლის ოქტომბერში თამარი საქართველოში დაბრუნდა. მალე ცხინვალის რაიონში ძარის სასოფლო საბჭოს საექიმო უბანს გამგის მოვალეობის შემსრულებლად მოევლინა. აქედან ცხინვალის რაისანეპიდსადგურში გადაიყვანეს. მალე მოიპოვა რაიონის ხელმძღვანელობის ნდობა და პატივისცემა. ამიტომ იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის ჯანმრთელობის განყოფილებაში კადრების განყოფილების ინსპექტორად დააწინაურეს, სადაც 1977 წლამდე, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე დაჰყო.

**ს. რეხვიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორსულობის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

ორსულობა განისაზღვრება 280 დღით ანუ 40 კვირით. მშობიარობის სავარაუდო ვადის გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: ბოლო თვიურის პირველ დღეს ემატება შვიდი დღე და უკან უნდა გადაითვალოს სამი თვე. მაგალითად: ბოლო თვიურის პირველი დღე თუ დაემთხვა 10 მაისს, მას უნდა მიემატოს შვიდი დღე და ამ რიცხვიდან (17 მაისი) გადაითვალოს უკან. მიღებული თარიღი ანუ 17 თებერვალი იქნება მშობიარობის სავარაუდო ვადა. მართალია, ზუსტად არ მართლდება, მაგრამ 2-3 დღით დასწრება ან გადაცილება ნორმალურად ითვლება.

მომავალმა დედამ აუცილებლად უნდა დაიცვას რეჟიმი და შეასრულოს შემდეგი წესები: უპირველესად, ყოველდღიურად მიიღოს სრულფასოვანი საკვები (ხაჭო ან ნადუღი, ყველი, მაწონი, კარაქი, კვერცხი, მოხარშული ხორცი, ახალი თევზი, მოხარშული ბოსტნეული, ხილი, მცენარეული ზეთი და სხვა).

ზოგჯერ ორსულ ქალს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა საკვების ან სუნის მიმართ: გულის რევა, ღებინება და სხვა, მაგრამ მან უნდა სძლიოს ამ მდგომარეობას (რომელიც ხშირ შემთხვევაში წყდება 3-4 თვის ორსულობისას) და საკვები მაინც მიიღოს. საერთოდ ქალების უმრავლესობა ნორმალურად იტანს ორსულობას, მაგრამ არის შემთხვევებიც, როდესაც ორსულ ქალს სურვილი აქვს ჭამოს ცარცი, გაჯი და სხვა ამდაგვარი ნივთიერებები. ეს გამოწვეულია ორგანიზმში კირის მარილების უკმარისობით. აკადემიკოს გ. თ. სპერანსკის აზრით, ამის აკრძალვა არ არის საჭირო.

მომავალმა დედამ ბევრი უნდა ისეირნოს სუფთა ჰაერზე (დღეში რამდენჯერმე 1-2 საათი), რის შემდეგ დაისვენოს 20-30 წუთი. ზაფხულის პერიოდში სასურველია გავიდეს ქალაქიდან, იმ ვარაუდით, რომ ახლო იმყოფებოდეს სამშობიარო სახლთან. თუ ორსულს აწუხებს შინაგანი ორგანოების რაიმე დაავადება ან ალერგიული მდგომარეობა, სასურველია ბოლო თვეში იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობაში.

საერთო ჰიგიენა უნდა ტარდებოდეს ყოველდღიურად თბილი (35-37°) შხაპის მიღებით. აბაზანაში ჩაწოლა და ცხელი წყალი ასუსტებს ორგანიზმს, რის გამოც მიზანშეწონილი არ არის. ასევე არ არის სასურველი, ზღვაში ცურვა, განსაკუთრებით ორსულობის მეორე ნახევარში.

ორსულმა ქალმა ყურადღება არ უნდა მოაკლოს კბილების მდგომარეობას — ოდნავი ჩამოფშვნის ან გაფუჭების შემთხვევაში საჭიროა სასწრაფოდ მიმართოს ექიმს. უნდა ერიდებოდეს კონტაქტს ავადმყოფთან, განსაკუთრებით კი ინფექციური დაავადების დროს; შორს მანძილზე მანქანით მოგზაურობას და მძიმე საგნების აწევას, განსაკუთრებით ბოლო 2-3 თვეს.

ძუძუების მომზადება საჭიროა დროულად, ორსულობის მეორე ნახევარში; შხაპის მიღების შემდეგ სხეულს უნდა იმშრალებდეს ხაოიანი პირსახოცით, ძუძუებს კი — ფრთხილად, წრიული მოძრაობით. კერტების დამუშავება უნდა ხდებოდეს მათი დაგრძელებით, ძირიდან ზევით ამოწევით და გრეხილი მოძრაობით, დიდი და საჩვენებელი თითების საშუალებით. ორსულობის დაწყებასთან ერთად სარძევე ჯირკვლები დიდდება და ემატება მგრძნობელობა. გამოწურვისას გამოიყოფა ხსენი — წვეთობით. ამიტომ ორსული ქალი უნდა ერიდოს ხელოვნური ბოჭკოსაგან შეკერილი ლიფის ჩაცმას, რადგან ამას კანის გაღიზიანება მოსდევს და ხელს უწყობს ინფექციის შეჭრას.

ორსულმა ქალმა თავისუფლად უნდა ჩაიცვას, იმ გაგებით, რომ არაფერი უჭერდეს. განიერ ლიფს ბრტყელი თასმები და წინშესაკრავი უნდა ჰქონდეს. უქამრო ქვედა კაბას კი — ჩამოსაცმელი სამხრეები. ბოლო სამი თვე სასურველია ორსულმა იხმაროს მუცლის ასაწევი ბანდაჟი, რომელიც მწოლიარემ უნდა ჩაიცვას; წინდები უნდა მაგრდებოდეს სიგრძით დასამაგრებლებით, რადგან მრგვალი რეზინები ხელს უწყობს ქვედა კიდურების შეშუპებას და ვენების გაგანიერებას. ვენების გაგანიერების შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური წინდების ჩაცმა. ზაფხულში უწინდებოდ სიარული არ არის სასურველი, უკეთესია თხელი სატერფეები.

ძილის ან წამოწოლის დროს ფეხები სასურველია ელაგოს ოდნავ ამაღლებულ მდგომარეობაში. ფეხსაცმელი თავისუფალი და დაბალქუსლიანი უნდა იყოს.

ყველაზე ხშირი ინფექციური დაავადება, რომლითაც შეიძლება დაავადდეს ფეხმძიმე ქალი, — არის გრიპი. შეიძლება შეხვდეს აგრეთვე წითურა, წითელა და სხვა. ასევე კუჭ-ნაწლავთა დაავადებები, რომელთა გამომწვევი მიზეზია გაურეცხავი ხილის, მწვანილის ჭამა, აგრეთვე ჭუჭყიანი ხელები და წყალი.

მომავალი დედა ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისათვის, რომ ჯანმრთელი იყოს თვითონაც და მისი მომავალი ბავშვიც.

ე. ბერი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხისთვის შეწირული გული

ხანამნინის პროვინცია, რომელიც ჰანოის სამხრეთით 80 კილომეტრზეა გადაჭიმული, მთელ ვიეტნამშია ცნობილი, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონი, რომელიც განთქმულია საფეიქრო მრეწველობით და რევოლუციური ტრადიციებით. მისი უკანასკნელი წლების ისტორია ჩან თხი ნის ბედს წააგავს.

ჩან თხი ნი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ცენტრში, ქალაქ ნამდინის ახლოს მდებარე სოფელში დაიბადა, გლეხის ოჯახში. ფეიქრებმა, როგორც მხარის მუშათა კლასის ორგანიზებულმა რაზმმა, 30-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფრანგი კოლონიზატორების წინაამდეგ ბრძოლაში. ნის მამა იფარებდა იატაკქვეშელებს, წამლობდა დაჭრილებს, მონაწილეობდა დაზვერვაში.

გოგონა მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა — სამი და და ხუთი ძმა ჰყავდა.

— 1945 წლის აგვისტოს რევოლუცია რომ არა, ჩვენ ყველას უბედურება გველოდა, — ამბობს ჩან თხი ნი, — ბრინჯის პატარა ნათესი, თუმცა კი მოსავლიანი, ვერ გამოგვკვებავდა ამდენ სულს, მაგრამ სახალხო ხელისუფლებამ გვიხსნა შიმშილისაგან: ერთი ნაკვეთიც დაგვიმატეს, ორი კამეჩი შეღავათიან ფასად მიჰყიდეს მამაჩემს. შიმშილი გაქრა და ცხოვრება გაგვიუმჯობესდა.

ნი, როგორც ყველაზე უფროსი შვილი, სამეურნეო საქმეებშიც ეხმარებოდა მშობლებს და პატარა და-ძმების გაზრდაშიც. შემდეგ, რომ წამოიზარდნენ, მათ ადგილობრივი შვიდკლასიანი სკოლა დაამთავრეს და ნამდინის საფეიქრო კომბინატში დაიწყეს მუშაობა.

ჩვენ ქალაქ ხონგაის განაპირას, პატარა მყუდრო სახლის აივანზე ვსხედვართ. ხონგაი, კუანგნინის პროვინციის მთავარი ქალაქი, რესპუბლიკის ქვანახშირის წარმოების ცენტრია. ოჯახის დიასახლისი ჩან თხი ნი ჩემ თავს თავის ქმარს — ელექტროშემკეთებელი ქარხნის მთავარ ბუღალტერს, და შვილებს — შვიდი წლის ვაჟსა და სამი წლის გოგონას აცნობს. ვათვალიერებთ საოჯახო ალბომს, თითოეულ სურათს თვითონ ნი გვაცნობს. ერთ-ერთ სურათზე კამეჩზე მჯდომი გოგონაა გამოსახული. ეს სურათი სიმბოლურია ვიეტნამისთვის.

— მიცანით? — გვეკითხება დიასახლისი, — მე მაშინ რვა წლის ვიყავი. სურათი ჩვენმა მეზობელმა გადამიღო.

— როგორ მოხვდით აქ? — ვეკითხები ნის.

ვიეტნამის ყველა ოჯახში არსებობს ტრადიცია: უფროსი შვილი, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა ეხმარებოდეს მშობლებს სამეურნეო საქმიანობაში, ბავშვების აღზრდაში. ჩემს და-ძმებში, — ამბობს ნი, — ყველაზე უფროსი მე ვიყავი. მამაჩემი ერთი პირველთაგანი შევიდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში — „თხაინგუენში" და ბრინჯის მომყვანთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ძალიან ბევრს შრომობდა. ასე რომ, ოჯახის მთელი ტვირთი დედას დააწვა, რომელსაც მე ვეხმარებოდი. უმცროსი და-ძმები სწავლობდნენ და თვითონ თევზის დასახმარებელნი.

მრცხვენია, რომ ვთქვა, მაგრამ სკოლის ზღურბლს პირველად თექვსმეტი წლისამ გადავაბიჯე, — დარცხვენით ამბობს ნი, — ჯაფა მხოლოდ მაშინ შემიმსუბუქდა, როცა პატარები წამოიზარდნენ.

ნი კარგად სწავლობდა. ცოდნის წყურვილმა შვიდწლიანი პროგრამა ორ წელიწადში აათვისებინა. შვიდი კლასის განათლების მიღების შემდეგ კი მანდინის საფეიქრო მრეწველობის კომბინატში დაიწყო მუშაობა. ექვსი თვის შემდეგ უმაღლესი კლასის მრთველი გახდა და ხო ში მინის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის რიგებში მიიღეს.

კომბინატში შრომისმოყვარე ჩან თხი ნიმ მალე მიიქცია ყურადღება. ორი წლის შემდეგ ის შრომის დამკვრელი გახდა და დიდი გადაჭარბებით ასრულებდა ნორმას. საწარმო ყოველდღიურად სრულყოფდა თავის სახეს და ქალიშვილი მიხვდა, რომ შვიდწლიანი განათლება უკვე აღარ კმაროდა. ამიტომ კომბინატთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლაში შევიდა და 1976 წელს ფრიადოსნის ატესტატი მიიღო. იმავე წელს ოცდაექვსი წლის ნი საწარმოს კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად აირჩიეს, ორი წლის შემდეგ კი ჰანოიში გაგზავნეს ორწლიან უმაღლეს პროფკავშირულ კურსებზე.

— კურსებზე სწავლის წლები,— ამბობს ნი, — ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა იყო. იქ მე ვიეტნამის გამოჩენილი პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელობის, ჰანოის მოწინავე საწარმოთა დირექტორების, მწერლების ლექციებსა და საუბრებს ვისმენდი. ვცდილობდი არცერთი კონცერტი, არცერთი სპექტაკლი არ გამომეტოვებინა. ბევრს ვკითხულობდი, გულმოდგინედ ვმეცადინეობდი. იქვე გავხდი ვიეტნამის კომუნისტური პარტიის წევრი და ბოლოს, იქვე, — ღიმილით დასძენს ნი, — გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი, ფინანსებისა და კრედიტების ინსტიტუტის მაშინდელი მეხუთეკურსელი.

1978 წელს, კურსების სხვა საუკეთესო მსმენელებთან ერთად, ჩან თხი ნიც პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და წითელ მოედანზე სტუმართა ტრიბუნიდან უცქერდა მოსკოვის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციას.

კურსების დამთავრების შემდეგ ნი სულ სხვა საქმეზე გაამწესეს — სამთო-მოპოვებით დარგში მოუხდა მუშაობა. ის ქალაქ კამფამოს ელექტროშემკეთებელი ქარხნის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა, იმ ქარხნისა, რომელიც ხონგაის ქვანახშირის გაერთიანებას ეკუთვნოდა. ისე მოხდა, რომ ამ საწარმოში ქმარიც გაგზავნეს სამუშაოდ.

— დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი, პირველად ძალიან ძნელი ეტაპი, — ამბობს ნი, — მე ვერ ვერკვეოდი ელექტოშემკეთებელი საწარმოს საქმეებში. ამ საქმეზე კი ბევრი ქალი მუშაობდა. ისევ დამჭირდა წიგნების კითხვა, რათა ჩავწვდომოდი საქმის არსს. დამეხმარნენ ქარხნის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია. ამოცანები, რომლებიც იდგა ვიეტნამის ქალთა ფედერაციისა და, კერძოდ, ქარხნის ქალთა კოლექტივის წინაშე, ჩემთვის ნათელი გახდა: საჭირო იყო საწარმოს ქალთა უფრო აქტიური მონაწილეობა სამშობლოს დაცვაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახურ და ყოფაცხოვრებითს საქმიანობაში.

დიახ, პირველ ხანებში ნის მართლაც ბევრი სიძნელე შეხვდა. ქალები მას ჯერ კარგად არ იცნობდნენ, არ ენდობოდნენ, ზოგნი უცხოდაც თვლიდნენ. როგორ უნდა მოეპოვებინა მათი ნდობა და ავტორიტეტი, როგორ უნდა განემტკიცებინა დისციპლინა? აი, ეს საკითხები უკარგავდა მოსვენებას.

ბევრი რამ ჰირდა. შემოწმებით დადგინდა, რომ საწარმოს 510 მუშა ქალიდან 216 ხშირად იგვიანებდა სამუშაოზე მთელი საათით, ზოგჯერ საათნახევრითაც. ნი ბევრ მათგანს გულითადად ესაუბრა და გამოირკვა, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება ბავშვები ვინმესთვის დაეტოვებინათ. საწარმოში მხოლოდ ერთი საბავშვო ბაგა იყო ოთხმოცი ბავშვისათვის. რა უნდა ექნათ დანარჩენ დედებს? დაუყოვნებლივ უნდა გახსნილიყო ახალი საბავშვო ბაგა და ძველი კი გაფართოებულიყო. ნის ცდამ ნაყოფი გამოიღო და ერთი წლის შემდეგ ასეც მოხდა.

პირველ გამარჯვებას კი მიაღწია, მაგრამ ნის მაინც ბევრი გადასაჭრელი პრობლემა რჩებოდა: მაგალითად, ის რომ ანაზღაურება სწორად არ ხდებოდა. ამას კაცებიც ჩიოდნენ. ხალხი არ იყო დაინტერესებული საბოლოო შედეგებით, უხალისოდ ეკიდებოდნენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს. და ნიმ საკითხი დააყენა ადმინისტრაციის წინაშე. პარტიულმა კომიტეტმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მას. გადასინჯეს გამომუშავების ნორმები, დანერგეს ხელფასისა და პრემიალური ანაზღაურების დარიცხვის მწყობრი სისტემა და საქმე აღმავლობის გზით წავიდა. ქარხანამ 1982 წელს პირველად შეასრულა წლიური გეგმა, თავი დააღწია ჩამორჩენას და მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ჩან თხი ნის სახელი საყოველთაოდ გახდა ცნობილი ხონგაის მეშახტეთა შორის. 1984 წელს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის კუანგინის კომიტეტის რეკომენდაციით იგი ხუანგანის ქვანახშირის მრეწველობის გაერთიანების ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ძალიან პასუხსაგები საქმე ჩააბარეს: 50 ათასიან კოლექტივში 17 ათასზე მეტი ქალი მუშაობს. 1985 წელს ნი პროვინციის სახალხო საბჭოში დეპუტატად წარგზავნეს.

— აი, ასე მოვხვდი აქ, — იღიმება ნი. — მე ჩვენი მშრომელების ყველა წარმატება მახარებს, თუნდ მცირე წარმატებაც კი. ოჯახში შემოსავალი შემოდის. და ეს ხომ კარგია, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამაოდ არ ვირჯებით. ყოველი ახალი საბავშვო ბაგა თუ ბაღი, რომელიც ჩვენს გაერთიანებაში იხსნება, ყოველი ახალი სკოლა, ყოველი კულტურული ღონისძიება ხომ კეთილ საქმეში გაღებული წვლილია. იქნებ სამუშაო ადვილი არ იყოს, მაგრამ მე სიძნელეების არ მეშინია — მითხრა გამომშვიდობებისას ჩინ თხი ნიმ.

ო. გურგულისი,
საკდესის კორესპონდენტი.

# კაბები





მხატვარი მოდელიორები — ფაიდელი და აკიმოვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# გთხოვთ, დამეხმაროთ!

ძვირფასო რედაქცია, 22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშობელმა მამამ სახლიდან გაგვყარა ჩვენ — დედა და ორი შვილი. 22 წელია დედა დავობს იმ წილზე, რაც სახალხო სასამართლომ მოგვაკუთვნა. დედამ ბევრჯერ იდავა გადაუხდელ ალიმენტზეც, მაგრამ უშედეგოდ. უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილები ბედმა კოჯრის მესამე ბავშვთა სახლში მიგვიყვანა დედაც და შვილებიც. ობლობაში, ორი დედინაცვლის ხელში გაზრდილმა, გატანჯულმა დედამ შვილები არ მიგვატოვა და თვითონაც ბავშვთა სახლში დაიწყო მუშაობა.

გამოუსწორებელმა ლოთმა მამაჩემმა ორჯერ დაანგრია ოჯახი, ორჯერ დაჯდა დამნაშავის სკამზე პედაგოგი კაცი. ალკოჰოლთან დამეგობრებულმა, ადამიანის სახედაკარგულმა კინაღამ დედა მოგვიკლა და დაგვაობლა. ბევრჯერ აგვაწიოკა და აგვაცრემლა, ბევრი ღამე გაგვათენებინა სხვის ბაღ-ვენახებში. ჩვენ რომ გაგვყარა სახლიდან, ჯერი სკოლაზე მიდგა. ახლა თავის კოლეგებთან გამართა მუშტი-კრივი. ამიტომაც იყო, რომ სასჯელი მოიხადა ხულიგნობისათვის. მან ყველა და ყველაფერი დათმო: სამსახური, ოჯახი, პარტიის რიგებიდანაც გაირიცხა და ლოთობას კი ვერ შეელია. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გოგონამ დავკარგე ჯანმრთელობა და გავხდი შრომის 11 ჯგუფის ინვალიდი. მამაჩემის ლოთობაზე და საბჭოთა მასწავლებლისათვის შეუფერებელ საქციელზე ჯერ კიდევ ლაპარაკი იყო 1964 წლის 14 მაისის გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე რესპუბლიკის პროკურორის პ. ბერძენიშვილის სტატიაში. სათაურით — „მთელი საზოგადოების მნიშვნელოვანი საზრუნავი".

18 წელია მამაჩემი უმუშევარია. ჩვენთვის რომ ალიმენტი არ გადაეხადა, თავს არიდებდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. რაიონის ხელმძღვანელობა უძლური აღმოჩნდა იძულებითი წესით ჩაებათ შრომაში და გადაეხდევინებინათ მისთვის როგორც ალიმენტი, ისე სახელმწიფო გრძელვადიანი სესხი, რომელიც გამოიტანა ბინის მშენებლობისათვის ჩვენი ერთად ცხოვრების პერიოდში. ამჟამად ჩაწერილი ვარ მამასთან იმ ქოხში, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩვენ გვეკუთვნის (სამი წილი). მხოლოდ ჩაწერილი ვარ, ცხოვრებით კი მე თვითონაც არ ვიცი სად ვცხოვრობ. არსად არა მაქვს თავშესაფარი, ის ქოხიც დანგრევამდეა მისული და იმისათვის, რომ იმ დანგრეულ ქოხზეც ხელი ამაღებინოს, მამაჩემი ასეთ ხრიკებს მიმართავს: რადგან ჩვენი ვალი აქვს (გადაუხდელი ალიმენტი) სოფელში ხმა გაავრცელა, თითქოს მთავრობა უშენებდეს სახლს და მოახერხა თავის სახელზე (უკვე მეორედ) ბინის მშენებლობის პროექტის აღება. მას სურს ააშენოს ახალი ბინა იმ ნაკვეთში, სადაც ჩვენი ქოხია.

მამაჩემს თუკი იმის საშუალება არა ჰქონდა, რომ ჩვენთვის ალიმენტი გადაეხადა და სახელმწიფო გრძელვადიანი სესხი გაესტუმრებინა, მაშ საიდან აქვს ბინის მშენებლობის სახსრები 18 წლის უმუშევარს? რამდენჯერმე მივმართე თხოვნით სასოფლო საბჭოს, რათა დამხმარებოდა სოფლის აქტივთან ერთად, რომ ერთი პატარა ქოხი ჩამედგა, სადაც შემეძლებოდა წყნარად ღამის გათევა. კასპის რაისაბჭო და ხანდაკის სასოფლო საბჭო კი, — თუმცა კარგად იციან მამაჩემის ჩანაფიქრი, — რატომღაც მაინც მამაჩემს უწყობენ ხელს. ამიტომ თქვენ მოგმართავთ, იქნებ დამეხმაროთ.

პელაგია შალვას ასული გორგაძე,
კასპის რაიონი, სოფელი ზემო ხანდაკი.

ამ წერილის თაობაზე კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. გოდერძიშვილი გვატყობინებს: „მოქალაქე პ. შ. გორგაძე ჩაწერილია სოფელ ზემო ხანდაკში. თუმცა ფაქტიურად იგი არ ცხოვრობს სოფელში, მამის, შალვა გორგაძის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ავარიულობისა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების უქონლობის გამო. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით განმცხადებლის მამას შ. გორგაძეს მიეცა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გრძელვადიანი სესხი, რომელიც შ. გორგაძემ გამოიყენა არადანიშნულებისამებრ. წლეულს სასოფლო საბჭოს წინადადებით, რაისაბჭოს აღმასკომის კომპეტენტური სპეციალისტების მიერ შემოწმებულ იქნა შ. გორგაძის საყოფაცხოვრებო პირობები და ურჩიეს იმავე ნაკვეთში აეშენებინა საცხოვრებელი სახლი შვილთან პ. გორგაძესთან ერთად, საერთო სახსრებით. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის გამო, სახლის მშენებლობაზე შ. გორგაძის სახელზე ნებართვა არ გაცემულა.

რაც შეეხება პელაგია გორგაძის თხოვნას, აღნიშნულ ნაკვეთში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, ამისათვის საჭიროა მისი მამის — შ. გორგაძის თანხმობა, რადგანაც იგი კომლის უფროსია და ნაკვეთი მის სახელზეა აღრიცხული.

რედაქციის მინაწერი:

იქნებ კასპის რაისაბჭოს აღმასკომმა გულთან უფრო ახლოს მიიტანოს პელაგია გორგაძის გასაჭირი და მისი საქმე ადგილზევე უმტკივნეულოდ მოაგვაროს.



1. ღია ფერის ტყავისაგან დამზადებული ნაკეთობები უმჯობესია გაწმინდოთ რძით, რომელიც არა მარტო ასუფთავებს ტყავს, არამედ იცავს კიდეც მას მავნე ზემოქმედებისაგან.

2. სათვალის მინები აღარ დაიორთქლება, თუ მათ გაწმენდთ საპნიანი გლიცერინით და შემდეგ გააპრიალებთ რბილი ნაჭრით.

3. საღებავის სუნი ბინიდან მაშინვე გაქრება, თუ სამზარეულოს ქურაზე დაწვავთ ღვიის რამდენიმე მარცვალს.

4. კაკლის წენგოთი დასვრილი თითები შეგიძლიათ გაისუფთაოთ სალიცილის სპირტით.

5. თუ უთოს ძირმა სახამებელი მიიწვა, მისი მოცილება შეგიძლიათ ძმარში დასველებული ნაჭრით.

6. თუ გსურთ, რომ გაფცქვნილმა ბოსტნეულმა კარგი ფერი შეინარჩუნოს, მას უნდა დაასხათ ლიმონის წვენი ან მცირე რაოდენობის წყალში გახსნილი ვიტამინის 2 ტაბლეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გვეკითხებიან—ვუპასუხებთ

კ ი თ ხ ვ ა — მეუღლეების სიცოცხლეში ქორწინების შეწყვეტა სად ფორმდება და რა პირობებში; განქორწინების შემთხვევაში როგორ წყდება მეუღლეთა ქონებრივი დავა, სარჩო და გვარის არჩევის საკითხი; როდის ითვლება წყვილი რეალურად განქორწინებულად; თუ ქორწინება ფიქტიურია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოქმედებას?

პ ა ს უ ხ ი — მეუღლეების სიცოცხლეში ქორწინების შეწყვეტა ხდება რაიონული მმაჩის განყოფილებაში და სახალხო სასამართლოში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მმაჩის განყოფილება განქორწინებას აფორმებს იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი, ორთავენი თანახმა არიან განქორწინებისა, ურთიერთში არა აქვთ ქონებრივი, საბინაო და რჩენის დავა, აგრეთვე მაშინ, თუ მოპასუხე მეუღლეს, თავისუფლება აღკვეთილი აქვს არანაკლები სამი წლის ვადით, ან მოპასუხე მეუღლის ჭკუასუსტობა-არაქმედუნარიანობაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, ან მოპასუხე მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

სახალხო სასამართლო იხილავს და წყვეტს ქორწინების შეწყვეტის საკითხს, თუკი მივიდა დასკვნამდე, რომ მეუღლეების შემდგომში ერთ ოჯახად ცხოვრება შეუძლებელია. განქორწინების შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ქორწინების შემდეგ მიღებული გვარი ან აღიდგინონ ქორწინამდელი გვარი.

სასამართლომ ქორწინების შეწყვეტასთან ერთად უნდა იხმაროს ზომები მცირეწლოვანი შვილებისა, შრომის უუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად და გაყოს მხარეთა ქონებაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ რეგისტრირებულ უნდა იქნეს მმაჩის ორგანოში — განქორწინების მოწმობის აღებით — გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლის ვადაში.

ფიქტიური განქორწინება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით გაბათილდება და წყვილი ისჯება სისხლის სამართლის წესით.

* * *

კ ი თ ხ ვ ა — რა შემთხვევაში და ვის მიერ ჩამოერთმევა მშობელს მშობლის უფლება; მშობლისუფლებაჩამორთმეულ პირს მოეთხოვება თუ არა შვილის რჩენა და რა უფლებები რჩება მას შვილის მიმართ.

პ ა ს უ ხ ი—არასრულწლოვანი შვილის მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება, თუ დადგინდება, რომ მშობელი თავს არიდებს შვილის აღზრდის მოვალეობას, ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას, სასტიკად ეპყრობა შვილს, მავნე გავლენას ახდენს შვილზე (ან შვილებზე) თავისი ამორალური ყოფაქცევით, არის ნარკომანი ან ალკოჰოლიკი.

მშობლისუფლებაჩამორთმეული პირი კარგავს შვილის მიმართ ყველა უფლებას.

**თამარ ფალავა**

## დიასახლისებისათვის

მრავალჯერ თქმულა პურის უდიერ, უკულტურო მოხმარების შესახებ. გულისტკივილით აღნიშნულა, რომ მშრომელ ადამიანთა მარჯვენით მოყვანილ ამ დალოცვილ („პური ჩვენი არსობისა“) საზრდოს დაფასება და ყაირათიანი ხარჯვა უნდა. ყოველდღიურად, და განსაკუთრებით სტუმრიანობის ან სადღესასწაულო დღეებში საკმაოდ ბევრი აუთვისებელი პური რჩება. ნუ გადაყრით მას. ჩვეულებრივი პურისაგან შეგიძლიათ მოამზადოთ ორცხობილა, ხოლო თონის პური დაჭერით პატარა ნაჭრებად (ლუკმებად), მოათავსეთ ფიცარზე ან სინზე, გადააფარეთ დოლბანდი, გააშრეთ და შეინახეთ ქაღალდის ან დოლბანდის პარკში. ხმელი თონის პურისაგან სახელდახელოდ შეგიძლიათ მოამზადოთ უუათიანი შეჭამადი, რომელსაც ქართლური სამზარეულო შემდეგნაირად გვთავაზობს:

### პურის ხარშო

3-4 საშუალო ზომის ხახვი (200 გრ.) მოშუშეთ ნებისმიერ ცხიმში (კარაქი, ერბო, ზეთი), ჩაყარეთ შიგ ხმელი პური (რაოდენობა თვითონ განსაზღვრეთ) და იმდენი ადუღებული წყალი დაასხით, რომ პური დაიფაროს. უყავით ცოტა მარილი (თუ გნებავთ ჩაახალეთ რამდენიმე კვერცხი) და წამოადუღეთ 5-6 წუთი. გადმოდგმისას მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან კამა.

ხმელი თონის პური შეგიძლიათ გამოიყენოთ რძის შეჭამადშიც.

### რძის შეჭამადი

კარაქში ან ერბოში მოშუშეთ 2-3 თავი ხახვი, დაასხით ერთი ლიტრი რძე, ამოუკიდეთ საფანელი — 1 სუფრის კოვზი ხიმინდის ფქვილი ან 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი. უყავით ცოტა მარილი, ჩაახალეთ 2-3 კვერცხი და წამოადუღეთ 8-10 წუთი. გადმოდგმისას უყავით ნედლი ან ხმელი პიტნა.

ქ. თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემანსიპაცია პენტაგონურად

სან-ფრანცისკოს საოლქო სასამართლოში სარჩელი აღიძრა კალიფორნიის შტატის მთავრობის წინააღმდეგ. მას ბრალს სდებდნენ ქალთა დისკრიმინაციის წაქეზებაში. კალიფორნიის მუშა-მოსამსახურეთა ასოციაცია აქტივისტი ქალების დიდი ჯგუფის სახელით მოქმედებს, რომლებიც ცდილობენ სასამართლოს წესით მიაღწიონ იმას, რომ შტატის გუბერნატორმა ხელფასის ანაზღაურებაში ქალები მამაკაცებთან თანასწორუფლებიანი გახადოს და გადალახოს ის წინააღმდეგობები, ქალთა სამუშაოზე მიღებასა და მათ დაწინაურებას რომ უშლის ხელს.

ქალთა მოთხოვნა სრულიად საფუძვლიანია, რადგანაც მათი საშუალო გამომუშავება კაცებთან შედარებით 59 პროცენტს შეადგენს. ბოლო ათწლეულში ეს უთანასწორობა კი არ მცირდება, პირიქით იზრდება (1955 წელს ქალთა შემოსავალი კაცების შემოსავლის 64 პროცენტს შეადგენდა).

კალიფორნიის ექსპერტები ასახელებენ საინტერესო ციფრებს: ადგილობრივმა კორპორაციებმა და დაწესებულებებმა ბოლო ორნახევარ წელიწადში 37 ათას ქალს არ აუნაზღაურეს მილიარდ დოლარზე მეტი. დღეისათვის აშშ-ში ქალების 80 პროცენტი იძულებულია არაკვალიფიციურ სამუშაოზე იმუშაოს უმდაბლესი ანაზღაურებით. ინჟინრებად ქალების მხოლოდ 4,4 პროცენტი მუშაობს, მეცნიერ მუშაკებად — 9,5; ექიმებად — 11 და იურისტებად — 14 პროცენტი.

თუმცა არსებობს ერთი სოლიდური ფედერალური ორგანიზაცია, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს მიაღწიოს ქალთა „თანასწორუფლებიანობას“ და აღმოფხვრას მათი დისკრიმინაცია. ეს პენტაგონია...

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფის მოხსენებაში. რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ნათქვამია: ამ სფეროში დიდი მიღწევებია, ქალებს შეუძლიათ კაცების მხარდამხარ იმუშაონ ბირთვული რაკეტების დანადგარებთან „მინიტმენის“ და „ემექს“-ის ჩათვლით. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს განცხადებით რეკომენდებულია „განხილულ იქნას ის საკითხი, რომ სამხედროვალდებულმა ქალებმა მონაწილება მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში, ზოგიერთ დაუსახელებელ სპეციალობებზე“.

ბუნებრივია, ამერიკელ ქალებს არ გაახარებთ ასეთი „პერსპექტივები“, რასაც „პენტაგონური ემანსიპაციის“ მომხრენი ნორმალურად მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ ზოგიერთი სასოწარკვეთილი, სამსახურის ძებნაში გართული ქალი მათ ანკესს წამოეგება.

ს. დანილოვი

გარეკანის პირველ გვერდზე — კომუნისტი ნინა დოლიძე, საერთაშორისო რეისების გორტგამცილებელთა ბრიგადის ბრიგადირი; მეოთხეზე — „თბილისობა“. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4. 10. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 11. 85 წ., ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148.000 შეკვ. 2264 უე 11272




„თბილისობა“ თ. ფურცხვანიძის ფოტო



ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ინდექსი 76178